# სარბიელი

სპორტული გაზეთი  შაბათი 8 მაისი 2004 №103 (2122)  ფასი 50 თეთრი


## მაშველები
### თაობა, რომელსაც წყალბურთის გადარჩენა შეუძლია

*ჩვენი ჭაბუკი წყალბურთელები ახალქართულ საწყალბურთო მეჩხერ წიგნში ახალ ფურცელს წერენ. სოფიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩების ნახევარი ჯერ წინაა, სოსო მაისურაძის გუნდმა კი მალტის საგ ზური უკვე გაინაღდა.*

*ხუთნაკრებიან ჯგუფში საქართველომ ფავორიტებად მიჩნეულ სლოვენიელებს გუშინ უკრაინელებიც მიაყოლა — 14:8. უკრაინის გატეხვა ძნელი საქმე გამოდგა, თუმც ბოლოს მაინც ძლიერმა იმარჯვა.*

*წინ აუტსაიდერი კვიპროსი და მასპინძელი ბულგარეთია. ამ ორიდან ერთის მოგებაც კმარა ორ საუკეთესოს შორის მოსახვედრად. დღეს საღამოს მაისურაძის ბიჭები ბულგარეთს ეთამაშებიან, კვიპროსი კი ბოლო ლუკმაა.*





გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ჟირესმა ბოსებს კამპანია ჩაუშალა
### ფედერაცია ბოსკამპს ემალება?

## წინ თუ შინ?
### თბილისი — დინამო
### თუ ნაგე, ნადი სახლში



ბადრი ქეთილაძის ფოტო



ბადრი ქეთილაძის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟირესმა პროექტი ჩაშალა

## საინვესტიციო ქართული ლოკომოტივი რუსულმა დინამომ შეცვალა



**ეროვნული** გუნდის მწვრთნელმა ალენ ჟირესმა უარი თქვა ახალგაზრდულ ნაკრებში იოჰან ბოსკამპის დანიშვნაზე და ჩაშლის პირას მივიდა ის პროექტიც, რაც ცოტა ხნის წინ ძალიან რეალური ჩანდა — უცხოელი, კერძოდ, რუსი ინვესტორების ქართულ ფეხბურთში მოსვლა და თბილისის „ლოკომოტივის" ყიდვა.

ადრეც ვწერდით, საინვესტიციო პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღერძი საქართველოში სწორედ ჰოლანდიელი მწვრთნელის ჩამოყვანა იყო, ბოსკამპს ახალგაზრდულის პარალელურად იმ კლუბშიც უნდა ემუშავა, რომლის ყიდვასაც რუსები აპირებდნენ. ბოსკამპზე ჟირესის მოულოდნელმა უარმა კი ეს საქმე თავდაყირა დააყენა.

ინვესტორები „ლოკომოტივზე" ჯერ ისევ ფიქრობენ, თუმცა ისიცაა, რომ მათ გონებაში ახალი კლუბი, მოსკოვის „დინამო" ამოტივტივდა და შესაძლოა, საქართველოში დასაბანდებელი ფული ისევ რუსეთში დაატრიალონ, ყოველ შემთხვევაში, ასეთ პროექტზე ლაპარაკი უკვე სერიოზულადაა დაწყებული. ერთიც: „ლოკომოტივის" გაყიდვის საკითხი, ამასაც ადრე ვწერდით, საქართველოს მთავრობის, მეტიც, პრეზიდენტის დონეზე უნდა გაირკვეს და გადაწყდეს, მაგრამ ფეხბურთისთვის ზემოთ, აბა, ახლა ვის სცალია?!

ჰოდა, ჯერჯერობით, „ლოკომოტივსა" და საერთოდ ქართულ ფეხბურთში ინვესტორთა გამოჩენა მოსალოდნელი არ არის. ისე კი, აქვე ვთქვათ, ჩვენს ფეხბურთში მოსვლით დაინტერესებული ხალხი შეკრებასა და ლაპარაკის გაგრძელებას ამ თვის ბოლოს კიდევ გეგმავს და არც ისაა გამორიცხული, იოჰან ბოსკამპი საქართველოში მაინც ჩამოვიდეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად.

**კობა ინასარიძე**

## იოჰან ბოსკამპმა ზრდილობა ახსენა

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი უკვე დანიშნა, მაგრამ რას ეტყვის იოჰან ბოსკამპს, ვისაც ამ პოსტს სთავაზობდა?*

*ჰოლანდიელს ბელგიაში დავურეკეთ და მას ქართულ პერსპექტივებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.*

— ბრაზილიიდან გუშინ დავბრუნდი და ახლა ველოდები შეხმიანებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან.

— არ იცით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე დანიშნა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი?

— მე არაფერი ვიცი, ამბებს თქვენი ფედერაციიდან ველი.

— კი მაგრამ, მწვრთნელი ხომ უკვე დანიშნულია...

— ისღა დამრჩენია, ფედერაციიდან შეტყობინება მივიღო. რაღაც ხომ უნდა გამაგებინონ, ეს ზრდილობის საკითხია და ჯერ ვერაფერს გეტყვით. შეთანხმების მიღწევა კი შეუძლებელი არასდროსაა.

— თქვენ „თბილისმაც" შემოგთავაზათ სამუშაო — არც ამ კლუბიდან დაგკავშირებიან?

— ეს საკითხიც ფედერაციასთან მოლაპარაკების შემდეგ უნდა გადაწყდეს.

— საქართველოში ჩამოსვლის სურვილი არ გაგნელებიათ?

— ველოდები ამბებს ფედერაციიდან.

**დავით თავართქილაძე**



## საპატიო კალაძე კიევში ბრუნდება

**12-14 მაისს** კიევში ველერი ლობანოვსკის ხსოვნის ოთხთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება.

ტურნირი წლეულს მეორედ ეწყობა და მასში საქართველოს ჩემპიონი, თბილისის „დინამოც" ითამაშებს.

„დინამო" უკრაინის დედაქალაქს უძლიერესი შემადგენლობით ეწვევა და პირველივე ანუ ნახევარფინალურ მატჩში მოლდოვის ჩემპიონს, ტირასპოლის „შერიფს" შეხვდება.

გუშინ კი ზემოხსენებული ტურნირის ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია გამართეს და კიევის „დინამოს" პრეზიდენტმა იგორ სურკისმა თქვა: „ძალიან გვინდა, ტურნირი ისეთმა გუნდმა დააფასოს, როგორიც „მილანია". ადრიანო გალიანის უკვე ვესაუბრე, უარი არ უთქვამს, მაგრამ, ვინაიდან სამი გუნდი უკვე მოწვეული გვყავდა, რომელიმესთვის (თბილისის „დინამო", რიგის „სკონტო" და „შერიფი") უარის თქმა არაეთიკური იქნებოდა. სამაგიეროდ, ვალერი ლობანოვსკის ტურნირს საპატიო სტუმრის სტატუსით მისი საყვარელი შეგირდები, ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე ეწვევიან. მათ უკვე ვესაუბრე და თანხმობაც მივიღე. ანდრეი და კახა კიევში 11 მაისს ჩამოვლენ".

**გიორგი გაჟაკიძე**

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა XXXII ტური**

ბურგჰაუზენი 2:0 რეგენსბურგი
მაინცი 2:0 უნტერჰახინგი
ოსნაბრიუკი 3:4 ნიურნბერგი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXX ტური**

ვერდერი (მ) 4:2 ვატენშაიდი

**სამხრეთ რეგიონალლიგა XXX ტური**

კიკერსი 2:0 ელვერსბერგი
ერფურტი 2:0 ვეჰენი
ზიგენი 2:0 აუგსბურგი

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა. XXIX ტური**

ბულე 1:1 კიასო
კონკორდია 1:0 მეირინი
ლუცერნი 2:1 ბადენი

### ირლანდია

**პრემიერლიგა. X ტური**

შემროკი 3:0 შელბურნი
ბოჰემიანსი 0:0 ლონგფორდი
დროჰედა 0:0 უოტერფორდი

### იტალია

**სერია B. XLI ტური**

ჯენოა 2:2 მესინა

### პოლონეთი

**პირველი ლიგა. XXII ტური**

გროცლინი 1:1 ამიკა

### ჰოლანდია

**II დივიზიონი. XXXV ტური**

აპელდორნი 3:0 ემენი
კამბური 1:2 დენ ბოსხი
ექსელსიორი 2:1 სიტარდი
ეინდჰოვენი 0:3 სპარტა
ჰერაკლესი 3:3 ჰელმონდი
მაასტრიხტი 2:1 ვენლო
ტელსტარი 2:0 დორდრეხტი
ოსი 1:4 იგლსი
ვეენდამი 3:3 გრააფსხაპი

### ავსტრია

**I დივიზიონი. XXXIII ტური**

კაპფენბერგი 0:0 ლეობენი
რიდი 3:1 აუსტრია (ლ)
ლუსტენაუ 2:0 ლინცერი
ტიროლი 1:0 ბლაიბერგი
უნტერზიბენბრიუნი 2:1 ვიორგლი

### საფრანგეთი

**II დივიზიონი. XXXV ტური**

ნიორი 0:1 სენტ ეტიენი

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. I ტური**

ტურკუ 2:2 ჰიკ
ჰაამენლინა 2:2 როვანიემი
ლაჰტი 1:1 ტპ-47
ჰაკა 2:0 იარო
ჯაზი 3:1 ტამპერე
კტპ 2:0 მიუპა

# ახალკაცს ტაბლო ჩაუქრა

## ასათიანი და აშვეთია ნაკრებში შვებულებით მოდიან

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდმა კრასნოდარის „ყუბანი" ისტუმრა და 5:1 გაანადგურა. გასაკვირია, მაგრამ რკინიგზელთა ქართველმა მეგოლემ რომან ახალკაცმა ტაბლოზე თავისი გვარის დაწერა ერთხელაც ვერ შეძლო. თუმცა ჩვენებური მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თავად განსაჯეთ — ახალკაცმა ოთხი საგოლე პასი მიითვალა.

— რომამ ძლიერად ითამაშა. გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ თამაში მარტომ გააკეთა. „ლოკომოტივმა" ოთხი გოლი მისი პასებით შეაგდო — გვითხრა გუშინ რკინიგზელთა ნახევარმცველმა მალხაზ ასათიანმა, რომელიც თავად დაესწრო „ლოკომოტივ" — „ყუბანის" სარეზერვო გუნდების თამაშს.



რომან ახალკაცმა (მარცხნივ) „ყუბანთან" ვერ გაიტანა, მაგრამ ოთხი საგოლე პასი კი გააკეთა

თავად მალხაზი კი დღევანდელი მატჩისთვის სრულ მზადყოფნაშია. ბოლოხანს იური სიომინის ჯილად ქცეულმა ქართველმა ძლივს მოიშორა წყეული ტრავმა და უკვე მთელი დატვირთვით, ყოველგვარი გამაყუჩებლის გარეშე შეუძლია თამაში. ჯანზეა ლოკომოტიველი მიხეილ აშვეთიაც, თუმცა მისი უგოლო სერია ისე გაგრძელდა, რომ რკინიგზელთა თავკაცი გვარიანად შეაფიქრიანა — სიომინი უკვე თვალდახუჭული ენდობა აშვეთიას კონკურენტ დმიტრი სიჩოვს.

და კიდევ, 20 მაისს რუსული პრემიერლიგის პირველი წრე მთავრდება და ფეხბურთელები შვებულებაში მიდიან, თუმცა ასათიანიც და აშვეთიაც მზად არიან, გამოძახების შემთხვევაში 27 მაისს საქართველოს ნაკრებს ისრაელთან მატჩში დაეხმარონ.

**კახა შალამბერიძე**

უმაღლესი ლიგის ზედა ექვსეულში ტური აღარაა, სულ მცირე, ერთი ნერვული და ძვალთმტვრეველი მატჩი არ გამოერიოს. ამჯერად ასეთად „თბილისი“ — „დინამო“ მივიჩნიეთ და ძნელად თუ ვინმე შეგვედავება. ეს არის თამაში, სადაც ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. ორი ამბიციური, ახალგაზრდული, შემტევი და ჩემპიონობის მაძიებელი გუნდი „ისნის“ სტადიონის სადღეისოდ საქართველოში საუკეთესო გაზონზე შეეჯახება ერთმანეთს. იქ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია და ვინძლო, ოქროსთვის მებრძოლ ოთხეულს ერთი წევრი გამოაკლდეს. ეს კი მაშინ მოხდება, თუ გია გეგუჩაძის მოგებათა სერია გაგრძელდება ანუ „დინამო“ „თბილისს“ დაამარცხებს. თუმც ქვეყნის 11-გზის ჩემპიონი ძირითადი შემადგენლობის ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს — გიორგი ნემსაძე ტრავმას უჩივის, ილია კანდელაკი კი დისკვალიფიცირებულია.

ახლა „თბილისისაც“ ვიკითხოთ — გიორგი დევდარიანის ბიჭებმა პირველ წრეში „დინამო“ გვარიანად გაანვალეს, „ეროვნულზე“ 2:0-ს უგებდნენ, თუმც დინამოელებმა ქულას მაინც გამოჰკრეს ხელი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ხვალ „ისანზე“ თვალსასეირო ჯახი გველის და სტადიონიც უეჭველად პირთამდე გაივსება. „თბილისს“ ამ „სეზონის მატჩისთვის“ მოულოდნელად პრობლემები შეექმნა: გუშინწინდელი ვარჯიშისას გივი კვარაცხელია და კოკა მიკუჩაძე დაშავდნენ, ფიფია ავადაა, მიკროტრავმა აქვს ნუგზარის ძე ქელიძესაც

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 მეორე ეტაპი ჩემპიონატი 8 ტური

# ჟინი აპარდნისა / შიში გაპარდნისა

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 34 |
| დინამო | 7 | 2 | 3 | 2 | 10:6 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 5:2 | 32 |
| თბილისი | 7 | 3 | 4 | 0 | 11:4 | 31 |
| ლოკომოტივი | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | 23 |
| დილა | 7 | 0 | 2 | 5 | 1:17 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 33 |
| მცხეთა | 7 | 4 | 2 | 1 | 7:3 | 24 |
| კოლხეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 24 |
| ბათუმი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:10 | 22 |
| სპარტაკი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 18 |
| მერცხალი | 7 | 0 | 1 | 6 | 1:13 | 6 |

## თბილისი თბილისი

### სავარაუდო შემადგენლობა

21 ფიფია, 11 აფციაური, 10 ხოჯავა, 19 ჯიქია, 9 გ. ნუგ. ქელიძე, 6 მესხი, 18 ოდიკაძე, 20 ელიავა, 4 სიდამონიძე, 22 ქემოკლიძე, 1 გრიშიკაშვილი



გიორგი დევდარიანი

დევდარიანთან დაკავშირება გუშინ ვერა და ვერ მოვახერხეთ. არც გაგვკვირვებია: მას და მის შეგირდებს ხომ სეზონის უმთავრესი მატჩი ელით და აკი განსაკუთრებულადაც ემზადებიან. სამი დღეა, „თბილისი“ შეკრებაზეა და „დინამოს“ ვიდეოფირებს ატრიალებს.





მსაჯი: კახა მესხი
თბილისი
ისანი
9 მაისი
18 საათი

## დინამო თბილისი

### სავარაუდო შემადგენლობა

20 იაშვილი, 18 მელქაძე, 10 ანჩაბაძე, 6 კვირკველია, 9 ახალაია, 25 რომერო, 2 კანკავა, 15 კაშია, 14 სილაგაძე, 5 შაშიაშვილი, 1 ზოიძე

„თბილისი“ მოძრავი, სიმპათიური და რაც მთავარია, ამბიციური გუნდია. ჩემპიონობის შანსიც აქვს და, ცხადია, არაფერს დაგვითმობს. ჩვენ კი თასის ფინალში გასვლა უნდა დავივიწყოთ და ჩემპიონატზე ვიფიქროთ. სამწუხაროდ, დაგვაკლდებიან ნემსაძე და კანდელაკი.



გია გეგუჩაძე

გორი. 9 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

**სკანდალური** სათასო „დილა“ — „დინამო“ რომ არა, ამ მატჩზე სიტყვის თქმასაც არ ვაპირებდით. უმიზნოდ დარჩენილი გორელებისა და მუდმივ პრიზიორ „ვიტ ჯორჯიას“ ჯახში საინტერესო, აბა, რა უნდა იყოს?! თუმც თასის ნახევარფინალში მომხდარი ქვა-ბოთლის წვიმა ასე იოლად გვერდზე გადასადები თემა არ არის. მით უფრო, ასეთი შემთხვევა გორელთათვის მერამდენეა, ვინ იცის.

გაშვებული გოლი და ვაი-უშველებელი — ამაში „თენგიზ ბურჯანაძის“ მკვიდრთათვის უცხო არაფერია. ვინ ვის და რას ესროდა, ვერავინ გაიგო. დინამოელთა გოლი ძვირად დაუჯდათ გვერდით მსაჯებს — გურამ ჩიგოგიძეს და ლევან მიქელაძეს. ამ საქმის გაგრძელება გორელების „განეიტრალება“ ანუ მათი სხვა სტადიონზე თამაშით დასჯა უნდა ყოფილიყო თითქოს, მაგრამ... პროფლიგის წარმომადგენელთა სიტყვა მოვისმინოთ: „ახალი კოდექსით გორის სტადიონს მხოლოდ დიდი ფულადი ჯარიმა დაეკისრება. „დილა“ — „ვიტ ჯორჯია“ კი ისევ გორში ჩატარდება. სტადიონის დისკვალიფიკაციას მოვერიდეთ“.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რატომ? „თენგიზ ბურჯანაძეს“, სულ მცირე, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მაინც ეკუთვნოდა. ეკუთვნოდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ვეტერინარებს ისევ იმ ნაომარ სტადიონზე მოუწევთ ბურთის გაგორება. თუმც „დინამოსგან“ ერთი საჩუქარი მაინც ერგოთ — „დილამ“ სეზონი ფაქტობრივად დაამთავრა.

ამის გათვალისწინებით, ხვალ მერაბ კოჭლაშვილი შეგირდებისგან მხოლოდ სამ ქულას მოითხოვს და ძნელი სავარაუდოა, სხვაგვარად მოხდეს. თან „ვიტ ჯორჯიამ“ წინა ტურში დასანანი ქულები დაკარგა „თბილისთან“ და ხასიათის გამოსაკეთებლად ამაზე უკეთეს შანსს ვერც ინატრებს.



„ვიტ ჯორჯიას“ „დილასგან“ გვარიანი წყენა ახსოვს — პირველ ეტაპზე გორში 0:3 დამარცხდა

# ვერგაფრენილი მერცხალი ეძებს ამხანაგს

თბილისი. 9 მაისი. 18 საათი. ოლიმპიკი

## სპარტაკი — კოლხეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ელიკაშვილი (თბილისი) ი. აფციაური (დუშეთი), ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე



ბესიკ შეროზია



დავით მახარაძე

**ხვალ** ბესიკ შეროზიას უმაღლესლიგური დებიუტი შედგება. „სპარტაკის“ ახალ მწვრთნელს მძიმე გამოცდა ელის — ფოთის „კოლხეთი“ უნდა წააქციოს. სხვაგვარად სპარტაკელები ცალ ფეხს პირველ ლიგაში ჩაჰყოფენ.

ლიგაში დარჩენა არც კოლხებს აქვთ განაღდებული, თუმც თბილისელებზე უკეთეს ყოფაში რომ არიან, ფაქტია. დავით მახარაძის გუნდისთვის ხვალინდელ მატჩში არწაგება იდეალური შედეგი იქნება.

ასე რომ, „სპარტაკ“ — „კოლხეთს“ ნაღდად შეეხედება. მატჩი დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს. მით უმეტეს, ბესიკ შეროზია შემტევი ფეხბურთის მოყვარული კაცია და როცა მის გუნდს მოგება ჰაერივით სჭირდება, ვინძლო, ავანტიურაზეც წავიდეს.

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში მეტოქეები უგოლოდ გაიყარნენ, თუმც ახალგაზრდა სპარტაკელებს უფრო მეტი ყურადღებით რომ ეთამაშათ, თბილისში სამი ქულით დაბრუნდებოდნენ.

ბოლნისი. 9 მაისი. 18 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ოზურგეთი. 9 მაისი. 18 საათი. ცენტრალური

## მერცხალი — ბათუმი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ქუთაისი. 9 მაისი. 18 საათი. ტორპედო

## ტორპედო — მცხეთა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. მჭედლიშვილი



*მეორე ეტაპის ყველაზე საინტერესო და ლამაზი მატჩი ჯერჯერობით „დინამო“—„თბილისი“ გახლავთ — აზრთა სხვაობა აქ, ვფიქრობ, უადგილოა, რადგან იმ შეხვედრაში იყო ყველაფერი, რითაც ფასობს ფეხბურთი.*

*ხვალ „თბილისი“ — „დინამოა“ და იქნებ თავისი ხიბლითა და ხარისხით „დინამო“ — „თბილისსაც“ აჯობოს. ჩვენი რესპონდენტი კი „თბილისის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ტექნიკური და შემტევი შუახაზელი ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲘ გახლავთ.*

# ᲩᲕᲔᲜ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲡ

## ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲩᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘᲐ

— სამ ქულას ვგეგმავთ, თან ისიცაა, რომ „დინამო“ ახალ მწვრთნელ გია გეგუჩაძის ხელში უკეთ გამოიყურება.

**— მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში „დინამოსთან“ სტუმრად 2:0 იგებდით, მაგრამ მეორე ტაიმში ორ ბურთი გაუშვით — რას დააბრალებდი, რატომ გაფლანგეთ ასეთი უპირატესობა?**

— ეს გამოუცდელობის ბრალია. შეგვეძლო, ანგარიშის შენარჩუნებაზე გვეთამაშა, მაგრამ კვლავაც შეტევაზე ვფიქრობდით — როცა „დინამოსთან“ 2:0-ს იგებ, უფრო გოლის არგაშვებაზე უნდა იზრუნო.

**— თქვი, „დინამო“ ახლა უკეთ ათამაშდაო — „თბილისი“ რასა იქმს?**

— „თბილისიც“ წინ მიდის. თუმც რამდენიმე ჩვენიანს მიკროტრავმები აწუხებს.

**— „თბილისმა“ ამ სეზონში რამდენიმე კარგი მატჩი ითამაშა, მაგრამ „დინამოსთან“ ყოველთვის განსაკუთრებულად მონდომებული იყო — ამ გუნდთან წარმატებით თამაში თქვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია?**

— „დინამოსთან“ მართლაც უფრო მონდომებულები ვართ. თუ გინდა, რომ შენი დაამტკიცო, ეს პირველ რიგში „დინამოსთან“ უნდა მოახერხო. „დინამოსთან“ თამაში სულისჩამდგმელია. როგორც უნდა იყოს, „დინამო“ ყოველთვის ფავორიტია და მის წინააღმდეგ გაორმაგებული ძალით უნდა ითამაშო.

**— „დინამოსთან“ მატჩისთვის საგანგებოდ ემზადებით?**

— ეგრეა, ოთხდღიანი შეკრება მოვაწყვეთ, თუმც არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მეტოქე „დინამოა“ — ჩემპიონატი ძალიან დაძაბა და თითოეული მატჩი გადამწყვეტია.

**— ჩემპიონობის შანსი „თბილისსაც“ აქვს, მაგრამ ზოგს მიაჩნია, რომ თქვენთვის ჩემპიონობა ჯერ ნაადრევია...**

— თუ ეს მატჩი მოვიგეთ, რატომ იქნება „თბილისისთვის“ ჩემპიონობა ნაადრევი?! ვიბრძოლებთ თუ არა ჩემპიონობისთვის, ამ თამაშში გადაწყდება.

**— ერთი ხანობა დინამოელიც იყავი, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდე, „თბილისში“ კი კარგად წარმოაჩინე თავი...**

— 2000-2001 წლების სეზონის მეორე ეტაპზე „დინამოს“ ძირითადში ხშირად მიწევდა თამაში, მაგრამ მერე გუნდის მწვრთნელი გივი ნოდია გახდა, ვინც არ მენდობოდა. „დინამოდან“ გამიშვეს და ექვსი თვე უგუნდოდ ვიყავი. მაგრამ არ ვნებდებოდი, კუს ტბაზე ვვარჯიშობდი. „თბილისში“ კი კობა ჟორჟიკაშვილმა ამიყვანა, მეც ზედმეტი წონის პრობლემა არ მაწუხებს და ფორმაშიც მალე შევდივარ — ყველაფერი ნორმალურად აეწყო. „თბილისი“ ლამაზი, ევროპული ფეხბურთისკენ მიიწევს და რამდენიმე წელიწადში ევროპაში თავის სიტყვას იტყვის.

**— „დინამოსთან“ მატჩს დავუბრუნდეთ — რა კოზირები უჭირავს „თბილისს“?**

— ჩვენ შინ ვთამაშობთ. თანაც „თბილისი“ ტექნიკური და ბრძოლისუნარიანი გუნდია. „დინამოს“ მხარეს კი ისაა, რომ ის უფრო სახელიანი და ტრადიციული გუნდია. მოკლედ, ყველაფერს თამაში გვიჩვენებს — ვინ უფრო ნიჭიერია და ტექნიკური.

**— „დინამომ“ წინა ტურში „სიონს“ რომ მოუგო, დაცვაში სულ თამაშგარეს ზღვარზე თამაშობდა. „თბილისს“ ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში ერთი მოხდენილი პასით ძალუძთ მთელი დაცვის მოჭრა — თორნიკე აფციაური და გოჩა ხოჯავა. თუ „დინამო“ თქვენთანაც ასეთ ტაქტიკას აირჩევს, ეს „თბილისისთვის ხელსაყრელი იქნება?**

— „დინამო“ რა ტაქტიკას აირჩევს, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველა ტაქტიკას თავისი პლუს-მინუსი აქვს. რასაც მეტოქე შემოგვთავაზებს, მას ჩვენი უნდა მივუსადაგოთ.

**— „თბილისი“ რას შესთავაზებს „დინამოს“?**

— ჩვენ „დინამოს“ შეტევას შევთავაზებთ.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**



თორნიკე აფციაურს ავლაბარში ალეკო გოგობერიშვილი ვერა, მაგრამ გიორგი შაშიაშვილი კი ესტუმრება

# ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲓᲐ

## IASHVILI, IA, IA

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲛᲐ** გერმანულმა გამოცემა „კიკერმა“ „ფრაიბურგის“ სატრანსფერო ამბებთან დაკავშირებით საინტერესო წერილი გამოაქვეყნა. „როგორც ჩანს, მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ კლუბის გაძლიერების ახალ გზას მიაგნო. მან წამყვან ფეხბურთელებთან, ზლატან ბაირამოვიჩთან და ალექსანდრე იაშვილთან კონტრაქტი გააგრძელა, თუმცა კლუბში კარგად იციან, რომ ამ ორივე ფეხბურთელით ბუნდესლიგის რამდენიმე ძლიერი კლუბია დაინტერესებული“ — წერს „კიკერი“ და აქვე ამზეურებს ქართველი ფეხბურთელის კონტრაქტის საინტერესო დეტალებს. კერძოდ, იაშვილს უფლება ექნება, სასურველი წინადადების გამოჩენისთანავე დატოვოს „ფრაიბურგი.“ ქართველი ფორვარდით, „კიკერისვე“ მტკიცებით, ყველაზე მეტად ბერლინის „ჰერტაა“ დაინტერესებული. კლუბი, რომელსაც ახალი სეზონისთვის სერიოზული გუნდის ჩამოყალიბება განუზრახავს და ამისთვის თანხებს არ ზოგავს.

„ფრაიბურგმა“ ბაირამოვიჩსაც და იაშვილსაც კონტრაქტები ფინანსურად უკეთესი პირობებით 2007 წლამდე გაუგრძელა. კლუბი თანახმაა, ფეხბურთელები ეროვნული ნაკრებში დაძახებისთანავე გაუშვას. „კიკერის“ კითხვაზე, თუ რამდენ ხანს აპირებს საუცხოო ფორმაში მყოფი იაშვილი „ფრაიბურგში“ დარჩენას, ქართველი პასუხობს: „კონტრაქტის ყველა პირობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ „ფრაიბურგში“ დარჩენას დიდი ხნით არ ვაპირებ“.

„კიკერის“ ცნობით, „ჰერტას“ გარდა იაშვილის შეძენით ბუნდესლიგის კიდევ ორი კლუბი, „დორტმუნდი“ და „ვოლფსბურგი“ არიან დაინტერესებულნი.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲔᲠᲐᲫᲔ**

# ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐᲡ ᲢᲠᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ

**ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ** „ალანიამ“ უიღბლო სტარტის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორა და სატურნირო ცხრილის ბოლოდან მერვე ადგილზე აინაცვლა, რაც მთავარია, თამაშის ხარისხიც გააუმჯობესა. სამწუხაროა, რომ სამი ტურია, ოსთა გუნდს ლევან გვაზავა და ვიტალი დარასელია ვერ ეხმარებიან. ორივეს ტრავმა გაუმიზეზდა. გვაზავამ მოსკოვში თერაპიის კურსი დაასრულა და ახლა ვლადიკავკაზში გადის სარეაბილიტაციო პერიოდს. დარასელია კი მოსკოვიდან მასზე ადრე დაბრუნდა, თითქოს „როსტოვთან“ საშინაო მატჩშიც უნდა ეთამაშა, მაგრამ...



— მეგონა, „როსტოვის“ წინააღმდეგ თამაშს შევძლებდი, მაგრამ ფეხი ისევ წამომტკივდა. მკურნალობა დავამთავრე-მეთქი, ვიფიქრე და შემოწმებისას ახალი სატკივარი გამომიჩნდა. ზუსტი დიაგნოზი რომ ვერ დასვეს, მკურნალობაც ამიტომ გაჭიანურდა — გვითხრა გუშინ დარასელიამ.

— ახლა თუ ვარჯიშობ?

— მხოლოდ დავრბივარ, ბურთთან შეხებაც მიჭირს. სამი დღის წინ ვცადე, უფრო ინტენსიურად დამეწყო ვარჯიში, მაგრამ ფეხის ტკივილის გამო ვერ შევძელი. კურბისმა ჩემი სახე რომ დაინახა, მითხრა, ნუ იჩქარებო. მოკლედ, კი მამხნევებენ, მაგრამ ეს საქმეს რას შველის...

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲔᲠᲐᲫᲔ**

# უეფას თასი 2003-2004. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

# დიდიეს 30

## დასასრული გიოტებორგში იქნება

**მარსელი** (საფრანგეთი) 2:0 **ნიუკასლი** (ინგლისი) (0:0)
1:0, 2:0 დროგბა (18, 82)
მარსელი: ბარტეზი, ბეიე, ჰემდანი, მეიტე, ლეიტე, ფლამინი, ნდიაიე, დოს სანტოსი, დროგბა (ვახოუშეკი 90), მარლე (ბატლე 81), მერიემი
ნიუკასლი: გივენი, ჰიუზი, ობრაიენი, ბრამბლი, ბერნარდი, ამბროზი, ვიანა (ბოიერი 65), სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი
გაფრთხილება: ბეიე, ფლამინი, ობრაიენი, ვიანა, ბოიერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
59 887 მაყურებელი



დიდიე დროგბამ შეი გივენიც დაჩაგრა

**43 წლის** ჟოზე ანიგო „მარსელის" ყოფილი მოთამაშეა. მან ათი წლის წინ დაასრულა ფეხბურთელის კარიერა და კლუბში მთავარი მწვრთნელის ასისტენტობა იკისრა, იმავდროულად ახალგაზრდულ გუნდსაც ავარჯიშებდა.

ანიგომ ალენ პერენი საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ, იანვარში შეცვალა, მისი თავკაცობით „მარსელს" უეფას თასზე შვიდმატჩიანი წაუგებელი სერიაც მოუგროვდა. ზღვისპირულმა გუნდმა გზიდან ჯერ „ინტერი", მერე „ლივერპული" ჩამოიცილა, ბოლოს „ნიუკასლიც" მიაყოლა და ფინალში დამსახურებულად გავიდა.

მარსელელთა ჯილა კოტდივუარელი დიდიე დროგბაა, რომელიც შარშან ზაფხულში „გენგამიდან" წაიყვანეს. დროგბას ბრწყინვალე სეზონი აქვს: ეროვნულ ჩემპიონატში 19, ჩემპიონთა ლიგაში 5, უეფას თასზე კი 6 გოლი გაიტანა. იგი ერთი კვირის წინ საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს და ეს ჯილდო ნაღდად დაიმსახურა. „ნიუკასლის" კარში გატანილი მისი მეორე გოლი სეზონში 30-ე გამოდგა.

„დიდიემ დაამტკიცა, რომ ძლიერი ფორვარდია. მარტო საფრანგეთში კი არა, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა" — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა თავკაცმა.

„როცა მწვრთნელად დამნიშნეს, პირველი მატჩის შემდეგ მეგონა, რომ საჩემო საქმე არაა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მიმიღია. ცხოვრება სავსეა სასიამოვნო მოულოდნელობებით. სამი თვის წინ ახალგაზრდებს ვავარჯიშებდი, დღეს კი უეფას თასის ფინალში ვარ. ეს ზღაპარს ჰგავს და გიოტებორგში თასის წამოსაღებად წავალთ" — დასძინა ჟოზე ანიგომ.

რარიგ ეწადა სერ ბობი რობსონს მშობლიურ „ნიუკასლთან" ერთად ფინალში გასვლა, მაგრამ... აღსანიშნავია, რომ „ჯორდებს" ოთხი მთავარი ფეხბურთელი აკლდათ და ასეთ ვითარებაში მოუწიათ „მარსელთან" ორივე მატჩის გამართვა.

„ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი — განაცხადა რობსონმა — მათ ჯიგრით ითამაშეს და რაც შეეძლოთ, გააკეთეს. ტრავმებმა დაგვტანჯა და მარცხის მთავარი მიზეზიც ალბათ, ესაა, უეფას თასზე ხომ 12 მატჩი არ წაგვეგო. მეორე გოლამდე ჩვენ ვჯობნიდით და მეტოქე ანერვიულდა კიდეც, ერთი მაინც რომ გაგვეტანა, ფინალში აუცილებლად ჩვენ გავიდოდით. სამწუხაროდ, ლი ბოიერმა ბარტეზთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა".

**ვაჟა ხუციშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაურინიუ სტემფორდ ბრიჯზე

*ჟოზე მაურინიუს „ჩელსის" სათავეში მისვლა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოთხშაბათს „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან გავარდა*

„ჩელსი" — „მონაკოს" მაურინიუ „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, თუმცა ჯერჯერობით, როგორც „პორტუს" მწვრთნელი, რომელსაც ფინალში თავისი მეტოქის ხილვა აინტერესებდა.

მაურინიუს გადამწყვეტი არაფერი უთქვამს, თუმცა ჩელსელი ადრიან მუტუს აგენტმა ანდრეა პრეტიმ თქვა, ჯერ ვერავინ იტყვის, რომ მაურინიუ ლონდონში გადმოდის. ამის მიუხედავად, პრეტიმ აღნიშნა, მუტუს მაურინიუსთან ლაპარაკი სურს თავის მომავალზეო.

მოგეხსენებათ, მუტუ კოლეგებს არ უყვართ და მისი გაშვებაც კი სთხოვეს კლაუდიო რანიერის, რომელმაც უკვე იცის, რომ ორ კვირაში „სტემფორდ ბრიჯს" დატოვებს. მისი ბიოგრაფი მასიმო მარინელა ამბობს, რანიერის მომავალი ბუნდოვანიაო.

ამბობენ, რომ ყველაზე კარგი წინადადება „ტოტენჰემიდან" მოდის, თუმცა „ტოტენჰემი" ოფიციალურად არაფერს ამბობს.

მაურინიუმ კი თქვა: „ჩემი მომავლისა არაფერი ვიცი, ჩემს აგენტს მეტი ეცოდინება, მე არცერთ კლუბთან არ მილაპარაკია. ასეთ ვითარებაში ამ სტადიონზე მოსვლა და „ჩელსის" ცქერა ძნელი იყო, მაგრამ მე ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ ჩავიტანო თასი პორტუში, სხვას არაფერს. თუ „პორტუს" დავტოვებ და არჩევანი იტალიასა და ინგლისს შორის იქნება, ამ უკანასკნელს ავირჩევ. გარანტიას გაძლევთ, რომ ესპანეთში არ წავალ".

**ირაკლი გამყრელიძე**

**ვალენსია** (ესპანეთი) 1:0 **ვილიარეალი** (ესპანეთი) (0:0)
1:0 მისტა (16პ)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მარჩენა (პელეგრინო 73), რ. აიალა, გარიდო, სისოკო (ვისენტე 62), ალბელდა, ბარახა, ხისკო, ანგულო, მისტა (აიმარი 78)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კოლოჩინი, კიკე ალვარესი, ბელეტი, ხოსე მარი, ხოსიკო (გიარე 86), ბატალია, რიკელმე, როხერი, ს. ანდერსონი
გაფრთხილება: მარჩენა, ბარახა, კიკე ალვარესი, კოლოჩინი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
55 000 მაყურებელი

# იქნებ მესამედ


ხოსე მარი და კარლოს მარჩენა

**გიოტებორგში** რაფაელ ბენიტესის პირველი ევროფინალი შედგება. ახალგაზრდა მწვრთნელმა ამ სეზონში დაამტკიცა, რომ მის გუნდს ორ ფრონტზე შეუძლია ბრძოლა, თან კარგად.

მოკლედ, „ვალენსიას" პრიმერადივიზიონის და უეფას თასის მოგების, ანუ დუბლის შესრულების ჩინებული შანსი აქვს.

„მესტალიაზე" მასპინძლები დასაწყისშივე ისე მიაწვნენ მეტოქეს, რომ „ვილიარეალის" მცველები იერიშების მოგერიებას ვერ აუდიოდნენ.

ხოსე მანუელ რეინამ ჯერ ბარახას თავიდან ააცალა ბურთი, შემდეგ კი პირისპირ გასულ მისტას არ გაატანინა.

მოგვიანებით ჟულიანო ბელეტიმ მისტა წააქცია საჯარიმოში და დაზარალებულმაც თერთმეტმეტრიანი თავად გაიტანა. ამ პენალტმა სტუმრების პროტესტი გამოიწვია.

მეორე ტაიმში ანგულომ ხისკო რეინასთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ კვლავ მეკარემ იმარჯვა.

„ვალენსია" ბოლო ხუთ წელიწადში ევროთასის ფინალში მესამედაა. ორჯერ წააგო და მწვრთნელს ეიმედება, რომ ამჯერად ნავსი გატყდება და თასსაც ვალენსიელები ირგუნებენ.

# ნამატჩევს

### ბენიტესი

გაცილებით იოლ მატჩს მოველოდით. პირველ ნახევარ საათში ყველაფერი კარგად გავაკეთეთ, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და „ვილიარელმაც", რომელიც შესანიშვანი გუნდია, კინალამ დაგვსაჯა. ვფიქრობ, პენალტი სამართლიანად დაინიშნა. ეს თერთმეტრიანიც რომ არ ყოფილიყო, „ველენსია" მაინც მოახერხებდა მატჩის მოგებას.

### პაკიტო

მართალია, წავაგეთ, მაგრამ „ვილიას" ინჩებს შეუძლიათ, ჩვენით იამაყონ — „ვალენსიისთვის" ბოლო წუთებამდე არაფერი დაგვითმია. პენალტი საეჭვო იყო, თუმცა არბიტრისაც მესმის — რთულ სიტუაციაში უკიდურესად სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ვამაყობ იმით, რომ „ვილიერეალმა" ბენიტესის ხალხს ძლიერი ბრძოლა გაუმართა. ახლა „ვალენსიას" გამარჯვებას ვუსურვებ, ალბათ, თასს სწორედ ისინი მოიგებენ.

### მისტა

შედეგითაც და მატჩითაც კმაყოფილი ვარ. „ვილიარეალი" ძლიერი გუნდია და მოედანზე არც ერთ წუთს უბრძოლველად არ ჩაუვლია. მსაჯი იმ ეპიზოდში სწორედ მოიქცა, პენალტი უნდა დაენიშნა. რეინამ კარგი ნახტომი გააკეთა, თუმცა გავუტანე და ამით ბედნიერი ვარ.

### ბელეტი

მსაჯი შეცდა. მისტას საერთოდ არ შევხებივარ, თვითონ მიბიძგა და წაიქცა, მე კი მხოლოდ ბურთზე ვთამაშობდი. თუმც ალბათ საფინალო შანსები იმათ უფრო ჰქონდათ, „ვალენსიამ", როგორც ყოველთვის, დამაჯერებელი ბურთაობა გვაჩვენა.



ფინალი. 19 მაისი. გიოტებორგი
ვალენსია — მარსელი

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# ბაიერნის არაკი: მაკაი და ბალაკი

**XXXII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | — | ვერდერი |
| ლაუტერნი | — | ვოლფსბურგი |
| ჰანოვერი | — | აინტრახტი |
| ჰამბურგი | — | შტუტგარტი |
| ლევერკუზენი | — | კიოლნი |
| ჰერტა | — | დორტმუნდი |
| გლადბახი | — | შალკე |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ბოხუმი | — | ფრაიბურგი |
| ჰანზა | — | მიუნხენი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 31 | 21 | 8 | 2 | 73:28 | 71 |
| ბაიერნი | 31 | 19 | 8 | 4 | 66:33 | 65 |
| შტუტგარტი | 31 | 17 | 10 | 4 | 48:19 | 61 |
| ლევერკუზენი | 31 | 16 | 8 | 7 | 63:37 | 56 |
| დორტმუნდი | 31 | 15 | 6 | 10 | 52:40 | 51 |
| ბოხუმი | 31 | 13 | 11 | 7 | 49:35 | 50 |
| შალკე | 31 | 12 | 10 | 9 | 44:38 | 46 |
| ჰამბურგი | 31 | 12 | 6 | 13 | 43:58 | 42 |
| ვოლფსბურგი | 31 | 13 | 1 | 17 | 53:57 | 40 |
| ჰანზა | 31 | 10 | 8 | 13 | 49:48 | 38 |
| ფრაიბურგი | 31 | 10 | 7 | 14 | 42:62 | 37 |
| გლადბახი | 31 | 8 | 9 | 14 | 34:45 | 33 |
| ჰანოვერი | 31 | 8 | 9 | 14 | 45:60 | 33 |
| ლაუტერნი | 31 | 10 | 5 | 16 | 34:55 | 32 |
| ჰერტა | 31 | 7 | 11 | 13 | 32:55 | 32 |
| მიუნხენი | 31 | 8 | 7 | 16 | 30:48 | 31 |
| აინტრახტი | 31 | 8 | 5 | 18 | 32:46 | 29 |
| კიოლნი | 31 | 5 | 5 | 21 | 27:52 | 20 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა



მიხაელ ბალაკის თამაში საეჭვოა

„ვერდერი" დღეს თუ მოიგებს, გერმანიის ჩემპიონი გახდება. ბრემენელებს ზურგს 22-მატჩიანი წაუგებელი სერია უმაგრებთ, „ბაიერნი" კი ამ სეზონში შინ ჯერ არ დამარცხებულა. მიუნხენელთა მენეჯერი ული ჰიონესი შფოთავს, რადგან მიხაელ ბალაკი და როი მაკაი ტრავმირებულნი არიან. ჰოლანდიელის თამაში მაინც სავარაუდოა, ხოლო გერმანელის საქმე უფრო რთულადაა, მას მარცხენა მუხლი აწუხებს. ექიმები კი დასტრიალებენ, მაგრამ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყდება ითამაშებს, თუ არა ბალაკი.

„დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებთ, ჩემპიონებიც ჩვენ გავხდებით — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — მეტოქეს პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენზე ვარსკვლავური შემადგენლობა არ ჰყავს".

„ბილდმა" გამოკითხვა ჩაატარა და შედეგებმა ჰიცფელდის ვარაუდი უარყო. რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ „ვერდერი" დღევანდელი შემადგენლობით „ბაიერნს" აშკარად სჯობს და ჩემპიონობასაც ბრემენელები იზეიმებენ.

სტუმართა მცველმა, ვალერიან ისმაელმა მაკაის დაშავების ამბავი რომ შეიტყო, განაცხადა: „ძალიან მსურს, მან ითამაშოს, რადგან მინდა ვუჩვენო გერმანიას, რომ ის არც ისე ძლიერია, როგორც აბუქებენ".

„ვერდერს" მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, დავალა უმითი დააკლდება დისკვალიფიკაციის გამო.

ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლი „კაიზერსლაუტერნი" კი „ვოლფსბურგს" მასპინძლობს. „მგლების" ამჟამინდელი თავკაცი ერიკ გერეტსი ორი თვის წინ „კაიზერს" წვრთნიდა და ყოფილ გუნდს შეხვდება. „ვოლფსბურგს" გავარდნა არ ემუქრება, მასპინძლებს კი უეჭველად გამარჯვება სჭირდებათ. შესაძლოა, დღეს ტრავმამოშუშებული მიროსლავ კლოზე დაბრუნდეს.

„ჰანოვერი" „აინტრახტს" მიიღებს. ორივე გუნდისთვის ყოველი ქულა ძვირფასია. ჰანოვერელები ოდნავ უკეთეს ვითარებაში არიან, ხოლო ფრანკფურტელებს უკვე გავარდნილი „კიოლნის" გზაზე დადგომა თუ არ სურთ, აუცილებლად უნდა მოიგონ.

წინა ტურში „ვერდერისგან" 6:0 ნაგვემი „ჰამბურგი" რეაბილიტაციას „შტუტგარტთან" აპირებს. ფელიქს მაგათის გუნდს მესამეობა ჯერ განაღდებული არ აქვს, მასპინძლები კი ცხრილის შუაში არიან არხეინად. „შტუტგარტს" ორი დისკვალიფიცირებული, მარსელო ბორდონი და კევინ კურანი დააკლდება.

უკვე მეორებუნდესლიგელი „კიოლნი" ლევერკუზენში გაისეირნებს. „ბაიერს" ტრავმირებული ლუსიო არ ეყოლება.

დორტმუნდის „ბორუსიას" ხუთეულში ადგილის დასამკვიდრებლად ბერლინში გამარჯვება მართებს, მაგრამ „ჰერტა" თავად გადასარჩენად იბრძვის და ამიტომ დედაქალაქში დიდი ომი გაიმართება.

გელზენკირხენის „შალკე" ამ სეზონში ინტერტოტოს თასზელა თუ ითამაშებს, რადგან საჭირო რაოდენობის ქულების მოგროვება გაუჭირდება. „ხუმარები" მიონხენგლადბახში „ბორუსიას" ეწვევიან.

დორტმუნდელთა კონკურენტი „ბოხუმი" „ფრაიბურგს" დაუხვდება. ბოხუმელთა მიზანიც უეფას თასზე თამაშია და საამისოდ მეხუთე ადგილი სურს. ფრაიბურგელებს ჩაქვეითება არ ემუქრებათ. მათ დღეს სომაილა კულიბალი და როდა ანტარი არ ეყოლებათ.

# ფსიქო-მატჩი

## ფრანგი მოაზროვნეები გერმანულ ომზე

*გერმანულმა „კიკერმა" „ბაიერნის" ლეგიონერი ბიქსენტ ლიზარაზუ და მისი ვერდერელი თანამემამულე ვალერინ ისმაელი ერთად მოიხელთა. ფრანგები დღეს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" ერთმანეთს საჩემპიონო ბრძოლაში დაუპირისპირდებიან, მატჩამდე კი აზრები „კიკერს" გაუზიარეს.*



ბიქსენტ ლიზარაზუ

**— ჰიონესმა თქვა, რომ „ბაიერნი" „ვერდერს" გადაყლაპავს...**

*ისმაელი:* მიუნხენში საიმისოდ არ ჩავდივართ, რომ ვინმეს შევეჭმევინოთ.

*ლიზარაზუ:* გადაყლაპვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე 1:0 მოგება სავსებით მაწყობს. ფსიქოლოგიურად „ვერდერი" უკეთეს ვითარებაშია, რადგან პირველ ადგილზეა, მაგრამ თუ გავიმარჯვეთ; მას დარჩენილ ორ ტურში ძალიან გაუჭირდება.

**— ჰიონესის განცხადება მოტივაციას ვის უფრო შემატებს, „ვერდერს" თუ „ბაიერნს"?**

*ისმაელი:* დამატებითი მოტივაცია არ გვჭირდება. ჩვენ მოსაგებად ვითამაშებთ.

*ლიზარაზუ:* ასეთ მატჩებში თამაში მე ძალიან მსიამოვნებს, რადგან ადრენალინის დიდი დოზით მოზღვავებას ვგრძნობ. დღევანდელ შეხვედრას ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც კი შევადარებ.

**— კლასნიჩის აზრით, „ვერდერი" სწორედ რომ მიუნხენში უნდა გახდეს ჩემპიონი. შეუძლიათ კი ბრემენელებს „ოლიმპიაშტადიონზე" გამარჯვება?**

*ისმაელი:* რატომაც არა?

*ლიზარაზუ:* გამორიცხულია. ეგებ დარჩენილ ორ ტურში შეძლონ, მაგრამ არა მიუნხენში.

**— „ბაიერნმა" ბოლო ტურებში მოუმატა, ხოლო „ვერდერს" თითქოს დაღლა დაეტყო...**

*ლიზარაზუ:* ჩვენი წარმატების საიდუმლოც ესაა — გადამწყვეტ მომენტში მთელი ძალით ავთამაშდით. ბრემენელთა დაღლილობაზე კი ვერაფერს გეტყვით. მათ „ჰამბურგი" წინა ტურში გაანადგურეს, თუმც მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობთ „ვერდერი" რომის პაპივით ხელშეუხებელი არაა, სულ ის რომ იყოს თავში.

*ისმაელი:* „ბაიერნისგან" ყველაფერი მოსალოდნელია. ჩემპიონთა ლიგაში როცა თამაშობდა, მათ კრიზისზე საუბრობდნენ, მაგრამ „რეალთან" მერვედფინალში ორი ბრწყინვალე შეხვედრა გამართა. ჩვენს უნდა დავამტკიცოთ, რომ 22-მატჩიანი წაუგებელი სერია შემთხვევითობა არაა.

**— მეტოქის სუსტ და ძლიერ მხარეებზე რას ფიქრობთ?**

*ისმაელი:* როგორც მცველი, გეტყვით, რომ „ბაიერნს" შექმნა უჭირს და ვეცდები, უფრო გაუჭირდეს.

*ლიზარაზუ:* მე არ ვიცი „ვერდერის" პრობლემები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას 11 ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებმაც შესანიშნავი სეზონი ჩაატარეს.

**— აილტონის „ამოკეტვას" დღეს შეძლებენ?**

*ისმაელი:* ალბათ, ვერა.

*ლიზარაზუ:* ჩემს კარიერაში მასზე უფრო ძლიერი ბიჭები შემიჩერებია. ყველას აქვს სუსტი წერტილი.

**— ეს მატჩი ბუნდესბომბარდირების, მაკაის და აილტონის დუელიც იქნება.**

*ისმაელი:* ოღონდ მოვიგოთ და ჩემთვის სულ ერთია, ვინ გაიტანს ჩვენგან.

*ლიზარაზუ:* ვფიქრობ, მაკაი მაინც საუკეთესო ფორვარდია ბუნდესლიგაში.

**— და იგი „ვერდერის" ძლიერი დაცვის დაწიოკებას მოახერხებს?**

*ლიზარაზუ:* მაპატიოს მაკაიმ, მაგრამ ნაკლებად მადარდებს ვისი გოლით მოვიგებთ.

*ისმაელი:* პრობლემა მხოლოდ ჰოლანდიელის შეჩერება არაა, რადგან „ბაიერნს" ბევრი სხვა ძლიერი მოთამაშეც ჰყავს

**— შეიძლება, რომ ამ მატჩს ფინალი ვუწოდოთ?**

*ისმაელი:* ალბათ, არა. ეს ჩვეულებრივი ტურის მატჩია, რომელიც „ბაიერნისთვის" ოდნავ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენთვის. „ვერდერი" წაგების შემთხვევაში სამქულიანი სხვაობას შეინარჩუნებს და ორი ტური კიდევ დაგვრჩება.

*ლიზარაზუ:* არაერთ ფინალში მითამაშია და პანიკის საფუძველი არ მაქვს, ვფიქრობ, „ვერდერი" უფრო უნდა ნერვიულობდეს.

**— თქვენ „ვერდერის" ნერვიულობას გრძნობთ?**



ვალერიან ისმაელი

*ლიზარაზუ:* თუ მოვიგეთ, ბრემენელები აიჭრებიან. დარჩენილ ორ ტურში ვერ გაუძლებენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. თავად განსაჯეთ: ახლა „ვერდერს" ჩემპიონობის 95 პროცენტი შანსი აქვს, ჩვენ ხუთი პროცენტი. რომ დავმარცხოთ, შანსი თითქმის გათანაბრდება.

**— ნერვებს შევეშვათ და საფეხბურთო მხარეზე ვისაუბროთ...**

*ლიზარაზუ:* ფეხბურთზე უკაცრავად. დღეს უფრო ფსიქო-მატჩი გველის.

*ისმაელი:* ვფიქრობ, მაღალი კლასის ფეხბურთელთა შესრულებით კარგი სანახაობა შედგება.

**— ბოლოს ერთმანეთს როდის შეხვდით?**

*ისმაელი:* ნაკრების ბოლო მატჩი გამოვტოვე და ბიქსენტს ამიტომ არ შევხვედრივარ, მაგრამ ზოგადად კარგი ურთიერთობა გვაქვს.

*ლიზარაზუ:* ვალერიანი არა, იოან მიკუ კი ვნახე სანაკრებოდ რომ გამოგვიძახეს. მიკუ დღეს როგორმე უნდა შევაჩეროთ, რადგან ის „ვერდერის" გულია.

# ინგლისი

კოტე კაკელია

# შკაცრავად, რამდენი გოლი?!

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| **მანჩესტერი** | — | **ჩელსი** |
| ბირმინგემი | — | ლივერპული |
| ევერტონი | — | ბოლტონი |
| ლიდსი | — | ჩარლტონი |
| ლესტერი | — | პორტსმუთი |
| მიდლსბრო | — | სიტი |
| საუთჰემპტონი | — | ასტონ ვილა |
| ტოტენჰემი | — | ბლეკბერნი |
| **ხვალ** | | |
| ნიუკასლი | — | ვულვზი |
| ფულემი | — | არსენალი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 36 | 24 | 12 | 0 | 70:25 | 84 |
| ჩელსი | 36 | 23 | 6 | 7 | 65:28 | 75 |
| მანჩესტერი | 36 | 22 | 5 | 9 | 61:34 | 71 |
| ლივერპული | 36 | 15 | 11 | 10 | 51:36 | 56 |
| ასტონ ვილა | 36 | 15 | 10 | 11 | 47:41 | 55 |
| ნიუკასლი | 35 | 13 | 14 | 8 | 47:35 | 53 |
| ბოლტონი | 36 | 13 | 11 | 12 | 46:53 | 50 |
| ფულემი | 36 | 13 | 10 | 13 | 49:45 | 49 |
| ჩარლტონი | 36 | 13 | 10 | 13 | 46:47 | 49 |
| ბირმინგემი | 36 | 12 | 13 | 11 | 42:44 | 49 |
| საუთჰემპტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 39:39 | 45 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 9 | 15 | 41:46 | 45 |
| ბლექბერნი | 36 | 12 | 7 | 17 | 50:57 | 43 |
| პორტსმუთი | 36 | 11 | 9 | 16 | 41:50 | 42 |
| ევერტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 43:50 | 39 |
| ტოტენჰემი | 36 | 11 | 6 | 19 | 44:57 | 39 |
| სიტი | 36 | 8 | 14 | 14 | 49:51 | 38 |
| ვულვზი | 36 | 7 | 11 | 18 | 37:74 | 32 |
| ლიდსი | 36 | 8 | 8 | 20 | 37:75 | 32 |
| ლესტერი | 36 | 5 | 15 | 16 | 44:62 | 30 |

პრემიერლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე თითქმის ყველაფერი გარკვეულია, ხოლო ის, რაც ჯერ კიდევ წარმოადგენს ინტერესის საგანს, ახლავე ჩამოვთვლით:

1. ვინ გავა მეორე ადგილზე, ანუ ვინ ითამაშებს პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე;

2. ვინ გავა მეოთხე ადგილზე, ანუ ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე;

3. ვინ გავა მეხუთე ადგილზე, ანუ ვინ ითამაშებს უეფას თასზე.

დანარჩენი კი ყველაფერი გარკვეულია:

— ჩემპიონი „არსენალია“;

— „ლესტერი“ ოფიციალურად გავარდა;

— „ვულვერჰემპტონი“ და „ლიდსი“ ოფიციალურ გავარდნილებად ჯერ არ ითვლებიან, მაგრამ მათ პრემიერლიგაში ადგილების შენარჩუნების არანაირი შანსი არ აქვთ. ამისთვის, „მანჩესტერ სიტიმ“ ორივე დარჩენილი თამაში უნდა წააგოს, „ვულვზმა“ და „ლიდსმა“ კი მოიგონ და რაც მთავარია, შესაბამისად, 35 და 36 გოლი უნდა გაიტანონ. ამ ბოლო მოთხოვნის შესრულება კი უკაცრავად და, სრულიად წარმოუდგენელია;

— უეფას თასზე ლიგის თასის მფლობელი „მიდლსბრო“ და ასოციაციის თასის ფინალისტი „მილუოლი“ ითამაშებენ.

ერთი სიტყვით, ქვემოთ მხოლოდ იმ თამაშების წინაამბებს შევეხებით, რომლებსაც პრაქტიკული თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელობა აქვთ.

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ჩელსის“ მასპინძლობს. ლონდონელებს მეორე ადგილის გასანაღდებლად ერთი ქულაც ჰყოფნით. „მანჩესტერს“, შესაბამისად, მხოლოდ მოგება აძლევს ხელს და ისიც იმ პირობით, რომ „ჩელსი“ ბოლო ტურშიც ვერ მოიგებს.

სერ ალექს ფერგიუსონს თავისი მთავარმეგოლე რუუდ ვან ნისტელროოი დაუბრუნდა, იგი მუხლს იტკიებდა და ჰოლანდიელი ახლა სრულიად ჯანმრთელია. სხვა საქმეა, „ჩელსისთან“ მწვრთნელი ათამაშებს თუ არა, რადგან ფერგიუსონს მისი ასოციაციის თასის ფინალისთვის შემონახვა სურს.

სხვა მხრივ კი, სტატისტიკა გვამცნობს, რომ „იუნაიტედს“ ბოლო ოთხი შეხვედრიდან სამი წაუგია, „ჩელსიმ“ კი ბოლო ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო.

მეოთხე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი „ბოლტონსაც“ აქვს, მაგრამ მოდით, მხოლოდ რეალური შანსის მქონე გუნდებზე ვილაპარაკოთ. ასეთი კი სამია — „ლივერპული“, „ნიუკასლი“ და „ასტონ ვილა“.

„ლივერპული“ ბირმინგემში ჩადის იქაურ „სიტისთან“ სათამაშოდ. მასპინძლებს სავარაუდოდ, ფინელი თავდამსხმელი მიკაელ ფორსელი დაუბრუნდებათ, რომელმაც მუხლის ტრავმის გამო წინა ტურში „არსენალთან“ თამაში გამოტოვა. არადა, ფორსელს საამსეზონო პრემიერლიგაში 17 გოლი აქვს გატანილი.

„ლივერპულს“ დაშავებული ჰყავს ჩეხი ვლადიმირ შმიცერი, თუმცა შვეიცარიელი მცველი სტეფან ანშო მყესის ტრავმის მიუხედავად, ალბათ, მაინც ითამაშებს.

„ასტონ ვილა“ საუთჰემპტონში ჩადის და დისკვალიფიკაციამოხდილი ნახევარმცველი ლი ჰენდრი მიჰყავს. ვილელებს დაუბრუნდათ ნორვეგიელი რონი იონსენი, რომელიც შემადგენლობიდან ყმაწვილ ლაიამ რიდგუელს ამოაგდებს.

„საუთჰემპტონს“, რომელიც ამ სეზონისგან ალარაფერს მოელის, ტრავმირებულთა გრძელი სია აქვს.

სხვათა შორის, „წმინდანებს“ ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვთ გასამართი ასევე მეოთხე ადგილის მაძიებელ გუნდთან — „ნიუკასლთან“, რომელიც ხვალ გავარდნილ „ვულვერჰემპტონს“ უმასპინძლებს. „კაჭკაჭებს“ ხვალ ჯონათან ვუდგეიტი, კრეიგ ბელამი, ჯერმან ჯენასი და კირონ დაიერი არ ეყოლებათ. ოთხივე მათგანი ტრავმებს იშუშებს.

უეფას თასზე გამსვლელი მეხუთე ადგილის ბედი კი სწორედ ამ სამეულს შორის — „ლივერპული“, „ასტონ ვილა“, „ნიუკასლი“ — გადაწყდება. მათგან ერთი ჩემპიონთა ლიგაში გავა, მეორე უეფას თასზე ითამაშებს, მესამე კი ხახამშრალი დარჩება.



პირველი წრის „ჩელსი“ — „მანჩესტერი“: 1:0 და ლონდონელთა სიხარული

# ესპანეთი

ლადო [illegible]






სამუელ ეტოო იკერ კასილიასის კარში გოლების გატანას ნაჩვევია

# ეტოოს ცხოვრების წესი

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სელტა | — | ბარსელონა |
| რეალი | — | მალიორკა |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | — | ალბასეტე |
| ესპანიოლი | — | დეპორტივო |
| რასინგი | — | ატლეტიკო |
| სევილია | — | ვალენსია |
| ვალიადოლიდი | — | სოსიედადი |
| სარაგოსა | — | ოსასუნა |
| ვილიარეალი | — | ბეტისი |
| მალაგა | — | მურსია |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 35 | 22 | 8 | 5 | 68:24 | 74 |
| რეალი | 35 | 21 | 7 | 7 | 67:44 | 70 |
| ბარსელონა | 35 | 20 | 9 | 6 | 61:36 | 69 |
| დეპორტივო | 35 | 19 | 8 | 8 | 56:32 | 65 |
| ბილბაო | 35 | 14 | 10 | 11 | 47:43 | 52 |
| ატლეტიკო | 35 | 14 | 9 | 12 | 44:46 | 51 |
| სევილია | 35 | 13 | 10 | 12 | 51:42 | 49 |
| ოსასუნა | 35 | 11 | 15 | 9 | 37:33 | 48 |
| ვილიარეალი | 35 | 13 | 9 | 13 | 44:45 | 48 |
| მალაგა | 35 | 14 | 5 | 16 | 46:51 | 47 |
| ბეტისი | 35 | 11 | 13 | 11 | 42:40 | 46 |
| ალბასეტე | 35 | 12 | 7 | 16 | 37:43 | 43 |
| მალიორკა | 35 | 12 | 6 | 17 | 45:61 | 42 |
| სოსიედადი | 35 | 10 | 11 | 14 | 42:49 | 41 |
| რასინგი | 35 | 11 | 9 | 15 | 46:59 | 41 |
| სარაგოსა | 35 | 10 | 9 | 16 | 41:53 | 39 |
| ვალიადოლიდი | 35 | 9 | 10 | 16 | 41:53 | 37 |
| ესპანიოლი | 35 | 11 | 4 | 20 | 42:60 | 37 |
| სელტა | 35 | 8 | 12 | 15 | 45:62 | 36 |
| მურსია | 35 | 4 | 11 | 20 | 27:53 | 23 |

„რასინგს“ დაკლებული აქვს 1 ქულა

ეჭვი არაა, პრიმერადივიზიონის ერთპიროვნული ლიდერი და უეფას თასის ფინალისტი, რაფაელ ბენიტესის „ვალენსია“ „სანჩეს პისხუანზე“ „სევილიას“ დამარცხებას ეცდება, რათა სანუკვარ ჩემპიონობას კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს. ანდალუზიაში ვალენსიელებმა ორი წლის წინ უკვე იზეიმა ჩემპიონობა, მაშინ სიხარული მალაგურ „ლა როზალედაზე“ იგემეს, მაგრამ უიღბლო სტადიონი არც „სანჩეს პისხუანს“ ეთქმის, „ვალენსიამ“ ბოლოს აქ 9 წლის წინ წააგო.

ერთი სიტყვით, შეხლა საინტერესო რომ იქნება, ფაქტია — ხოაკინ კაპაროსის „სევილიას“ გაისად უეფას თასზე ბურთაობა სწადია, ამისთვის კი, სულ ცოტა, ექვსეულში მოხვედრაა საჭირო და დღეს უეჭველად თავს შეაკლავენ მეტოქეს. მათი მთავარი იარაღი, ჩინებულ ფორმაში მყოფი ბრაზილიელი თავდამსხმელი ჟულიო ბაპტისტაა, ფორვარდმა ბოლო მატჩებში 11-ჯერ შეძლო თავის გამოჩენა და, რა თქმა უნდა, იგივეს გაკეთებას სანტიაგო კანისარესის კარშიაც ეცდება. კაპაროსის გულს ურუგვაელი დარიო სილვას გამოჯანმრთელებაც ახარებს. მან ტრავმა სრულად მოიშუშა და ხვალინდელი რთული ჯახისთვის მზადაა: „შევეცდებით, მათ მიერ დაშვებული შეცდომები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. კი გაგვიჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ვალენსიას“ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის“ — ამბობს დარიო სილვა.

ახლა სხვებზეც ვთქვათ. მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა კარლუშ კეირუშმა უკვე გადაწყვიტა: დაცვის ცენტრში რაულ ბრავოს ნაცვლად სათადარიგოდ ქცეული ფრანსისკო პავონი ითამაშებს, იგი დისკვალიფიკაციამოხდილ ივან ელგერას შეუწყვილდება. მადრიდელებს კი ის კუნძულელები სტუმრობენ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 2000 წლიდან მოყოლებული მათ მთავარ დამწიოკებლად რომ ითვლებიან, ანუ „მალიორკა“.

იკერ კასილიასის კარის კიდევ ერთხელ დასალაშქრად სრულ მზადყოფნაშია ოდესღაც რეალელი, სულ ცოტა ხნის წინ აფრიკის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული სამუელ ეტოო, რომელიც ამბობს, „რეალთან“ თითქმის ყოველთვის გამაქვს, ტრადიციების დარღვევა კი ჩემი ცხოვრების წესი არ არისო.

„ბარსელონა“ ვიგოში „სელტას“ ეთამაშება, გუნდს, რომელმაც წინა ტურში მადრიდის „ატლეტიკოსთან“ წააგო და სეგუნდადივიზიონში ჩაჩეხვა თუ არ სურს, კატალონიელებთან რაიმე უნდა იღონოს. მაგრამ ფრანკ რაიკარდის მრისხანე „ბარსასთან“ გამკლავება რომ ძალიან ძნელია? თავად განსაჯეთ, „ბალაიდოსის“ დღევანდელ სტუმრებს 17 ტურია, თამაში არ წაუგიათ და ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ ვიგოელებსაც ალბათ, მისსავე სარბიელზე მორიგ ჯოჯოხეთს მოუწყობენ...

ლუის ფერნანდესის „ესპანიოლი“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილ „დეპორტივოს“ ისტუმრებს. „დეპორს“ თავი ქუდში აქვს, „ოქროს ოთხეულის“ წევრობა უკვე დაბევებული აქვს და შეუძლია, ოდენ პრესტიჟის გულისთვის იბურთაოს, რადგან მასზე 13 ქულით უკან მყოფი მეხუთეადგილოსანი „ბილბაო“ სასწაულს ვერ მოახდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

პაპუნა კედია

# ვის უნდა და ვის არ უნდა



ხვალ ადრიანო თავის ყოფილ თანაგუნდელებს შეუტევს

| 5313 | ბირმინგემი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 5315 | ფულემი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5316 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ბაიერნი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5321 | ჰერტა-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5323 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ინტერი-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5330 | მოდენა-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | სელტა-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 5335 | რეალი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5336 | ბილბაო-ალბასეტე | 1,7 | 1,9 |
| 5337 | სარაგოსა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ვილიარეალი-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5342 | სევილია-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5343 | რასინგი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5406 | მანჩესტერი-ჩელსი | 1,8 | 2,0 |
| 5407 | ევერტონი-ბოლტონი | 1,85 | 1,95 |
| 5408 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,9 | 1,9 |
| 5409 | ლესტერი-პორტსმუთი | 1,9 | 1,9 |
| 5410 | მიდლსბრო-სიტი | 1,75 | 2,1 |
| 5411 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1,95 | 1,85 |
| 5412 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1,85 | 1,95 |
| 5413 | ბირმინგემი-ლივერპული | 2,1 | 1,75 |
| 5414 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,15 | 4,0 |
| 5415 | ფულემი-არსენალი | 2,1 | 1,75 |
| 5416 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,5 | 2,6 |
| 5417 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1,65 | 2,3 |
| 5418 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,95 | 1,85 |
| 5419 | ბაიერნი-ვერდერი | 1,6 | 2,4 |
| 5421 | ჰერტა-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 5422 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1,85 | 1,95 |
| 5423 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,35 | 3,0 |
| 5428 | ინტერი-პარმა | 1,7 | 2,2 |
| 5430 | მოდენა-სიენა | 1,75 | 2,1 |
| 5434 | სელტა-ბარსელონა | 2,2 | 1,7 |
| 5435 | რეალი-მალიორკა | 1,25 | 3,7 |
| 5436 | ბილბაო-ალბასეტე | 1,45 | 2,8 |
| 5437 | სარაგოსა-ოსასუნა | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |
| 5440 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 1,8 | 2,0 |
| 5441 | ვილიარეალი-ბეტისი | 1,7 | 2,2 |
| 5442 | სევილია-ვალენსია | 2,0 | 1,8 |
| 5443 | რასინგი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5206 | მანჩესტერი-ჩელსი | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ევერტონი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 5209 | ლესტერი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5210 | მიდლსბრო-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5211 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5212 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |
| 5213 | ბირმინგემი-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 5214 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,65 |
| 5215 | ფულემი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5216 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5217 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 5219 | ბაიერნი-ვერდერი | 1,9 | 1,7 |
| 5221 | ჰერტა-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1,85 | 1,75 |
| 5223 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5228 | ინტერი-პარმა | 1,95 | 1,65 |
| 5230 | მოდენა-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5234 | სელტა-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5235 | რეალი-მალიორკა | 2,1 | 1,55 |
| 5236 | ბილბაო-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5237 | სარაგოსა-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5238 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| 5240 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 1,8 | 1,8 |
| 5241 | ვილიარეალი-ბეტისი | 1,75 | 1,85 |
| 5242 | სევილია-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 5243 | რასინგი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5506 | მანჩესტერი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ევერტონი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ლესტერი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მიდლსბრო-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბირმინგემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ფულემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანოვერი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბაიერნი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ინტერი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | მოდენა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სელტა-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | რეალი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | ბილბაო-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | სარაგოსა-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ესპანიოლი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ვილიარეალი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | სევილია-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | რასინგი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5006 | მანჩესტერი-ჩელსი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5007 | ევერტონი-ბოლტონი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5008 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5009 | ლესტერი-პორტსმუთი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5010 | მიდლსბრო-სიტი | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5011 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5013 | ბირმინგემი-ლივერპული | 4,2 | 2,05 | 2,4 | 1,37 | 1,52 | 1,1 |
| 5014 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,35 | 3,2 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,24 |
| 5015 | ფულემი-არსენალი | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,53 | 1,53 | 1,17 |
| 5016 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,0 | 2,15 | 5,3 | 1,03 | 1,45 | 1,52 |
| 5017 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5018 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5019 | ბაიერნი-ვერდერი | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5021 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5022 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5023 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,8 | 2,25 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,63 |
| 5028 | ინტერი-პარმა | 2,35 | 2,05 | 4,6 | 1,09 | 1,55 | 1,41 |
| 5030 | მოდენა-სიენა | 2,5 | 1,95 | 4,4 | 1,09 | 1,59 | 1,35 |
| 5034 | სელტა-ბარსელონა | 4,4 | 2,1 | 2,35 | 1,42 | 1,53 | 1,1 |
| 5035 | რეალი-მალიორკა | 1,45 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,14 |
| 5036 | ბილბაო-ალბასეტე | 1,9 | 2,15 | 6,0 | 1 | 1,44 | 1,58 |
| 5037 | სარაგოსა-ოსასუნა | 2,35 | 2,05 | 4,6 | 1,09 | 1,55 | 1,41 |
| 5038 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5040 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5041 | ვილიარეალი-ბეტისი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5042 | სევილია-ვალენსია | 3,8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |
| 5043 | რასინგი-ატლეტიკო | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5506 | მანჩესტერი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ევერტონი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ლესტერი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მიდლსბრო-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბირმინგემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ფულემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანოვერი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბაიერნი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ინტერი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | მოდენა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5106 | მანჩესტერი-ჩელსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5107 | ევერტონი-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5108 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5109 | ლესტერი-პორტსმუთი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მიდლსბრო-სიტი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5111 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5112 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | ბირმინგემი-ლივერპული | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5114 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |
| 5115 | ფულემი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5116 | კ.ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,8 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5117 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5118 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5119 | ბაიერნი-ვერდერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5121 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5122 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5123 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5128 | ინტერი-პარმა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5130 | მოდენა-სიენა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5134 | სელტა-ბარსელონა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 5135 | რეალი-მალიორკა | 1,6 | 15,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5136 | ბილბაო-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5137 | სარაგოსა-ოსასუნა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5138 | ესპანიოლი-დეპორტივო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5140 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5141 | ვილიარეალი-ბეტისი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5142 | სევილია-ვალენსია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5143 | რასინგი-ატლეტიკო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |

## ფორმულა 1. ესპანეთი. 8 მაისი 12.00

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,45 | 1,07 | 1,03 | 1,6 |
| ბარიკელო | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 15,0 | 3,5 | 1,2 | 8,0 |
| კულტჰარდი | 50,0 | 10,0 | 1,5 | 20,0 |
| რაიკონენი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| ტრული | 25,0 | 5,0 | 1,2 | 10,0 |
| ალონსო | 10,0 | 2,3 | 1,15 | 7,0 |
| ბატონი | 6,0 | 1,55 | 1,1 | 4,0 |
| სატო | 35,0 | 7,0 | 1,55 | 20,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| მასა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| უებერი | 75,0 | 12,0 | 2,3 | 30,0 |
| კლიენი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |



ნინო ლეჟავას ფოტო

ბურგუნდიიდან ჩამოსული „ჯიქები“ რაგბის კავშირის ახალმა პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ მიიღო

# ჯიქური ამბები

## ქართველებმა ბურგუნდიაში რაგბი და ცხვრის ფაფახი ჩაიტანეს

*გვიყვარს ქართველებს ბურთაობა, რაგბიც თავისთავად. თარობაც ისეთი მოდის, ხვალინდელ დღეს მშვიდად დაელოდები. ბავშვებს გამწვრთნელი და პატრონი სჭირდებათ და ლელოს გამტანი ჩვენში რატომ არ გაიზრდება? მერაბ ანთაძემ თქვა, ამ პოტენციის არგამოყენება დანაშაულიაო. სამწუხაროდ დღეს ბავშვთა რაგბი ენთუზიასტების კისერზე ჰკიდია და ქართული ნიჭი აქა-იქ თუ იფეთქებს.*

*ქართული კლუბი „ჯიქი“ აპრილის ბოლოს ფრანგულ პროვინცია ბურგუნდიას სტუმრობდა, სადაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი გაიმართა 15 წლამდელებში. ბავშვთა რაგბის ფესტივალის მსგავს ტურნირში კლუბების გარდა დიდი სარაგბო ქვეყნების ნაკრებებიც მონაწილეობდნენ და „ჯიქებმა“ იქიდან მეექვსე ადგილი ჩამოიტანეს. ტურნირი მიმდინარეობდა 12-კაცა რაგბის ფორმატით.*

*ბურგუნდიიდან დიდი შთაბეჭდილებებით ჩამოსული „ჯიქების“ ხელმძღვანელები ყოფილი მორაგბე დავით გოცაძე, იგივე „სტამბულა“, მისი ძმა ბესო და „ჯიქების“ ფრანგი კონსულტარტი ალან მაიო ორიოდ დღის წინ რედაქციაში გვესტუმრნენ. თავდაპირველად „სტამბულას“ გავესაუბრეთ*

— როგორ შეიქმნა კლუბი „ჯიქი“?

— კლუბი „ჯიქი“ 2002 წელს ჩამოყალიბდა, თან ძალიან საინტერესოდ. ერთ სადარბაზოში სხვადასხვა თაობის ოთხი მორაგბე ვცხოვრობთ. თავიდან მე დავიწყე ვარჯიში, მერე 4 ბიჭი ამყვა, თვის ბოლოს კი ოცი მოვგროვდებოდით. აი, ასე იწყებდნენ „ჯიქები“. რაც შეეხება ჩვენს ფრანგ კონსულტანტ ალან მაიოს, იგი შარშან ჩაერთო ჩვენი გუნდის საქმიანობაში.

ალან მაიო ყოფილი მორაგბეა. სულ რაღაც 3 წელია, თბილისშია. სწორედ მისი დახმარებით მოვახერხეთ საფრანგეთში ბავშვთა რაგბის საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა.

— როდის გადაწყდა თქვენი გამგზავრება?

— 4 თვით ადრე ვიცოდით. ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსები იყო და ისევ ალან მაიო დაგვეხმარა — მოიძია დამფინანსებლები საფრანგეთშიც და საქართველოშიც. თანაც საშუალება მოგვეცა ჩემპიონატამდე მზადების სამთვიანი სრულფასოვანი კურსი გაგვლო. ბოლნისში შეკრების ორგანიზება მოხერხდა და სისტემატიური ვარჯიშებიც გვქონდა. რაგბში შეკრება მთავარია, რათა გუნდი ერთ მუშტად შეიკრას. ისტორიულ ძეგლებსაც ვათვალიერებდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

— თვითონ ბავშვები როგორ იყვნენ განწყობილნი?

— მათთვის ეს წარმოუდგენლად დიდი მიზანი იყო. შერჩევის სისტემა ძალიან რთული და საინტერესო გახლდათ. პირველ ეტაპზე თბილისში მოქმედი 7 კლუბიდან და ასევე ბოლნისიდანაც მოვიწვიეთ 52 მორაგბე. პირველი შეკრების შემდეგ მათი რაოდენობა განახევრდა, ხოლო აპრილის დასაწყისში ის 17 მორაგბე გამოცხადდა, რომლებიც საფრანგეთში გაემგზავრებოდნენ. შერჩევ სისტემაში თავიდანვე ჩავდეთ ის აზრი, რომ თბილისის ყველა კლუბიდან უნდა ყოფილიყო წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, შეგვეძლო, მხოლოდ „ჯიქები“ წავსულიყავით, მაგრამ ობიექტურობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ სხვა გუნდებიდან უფრო მეტი წარმომადგენელი მოხვდა ნაკრებში. ამით ბავშვებმა დაინახეს, რომ მიკერძოებას ადგილი არ ჰქონდა.

— ვინ დაგეხმარათ და საერთოდ როგორ იშოვეთ იქ წასასვლელი თანხები?

— თანხის ყველაზე დიდი ნაწილი, 10 ათასი ევრო იონის დეპარტამენტმა გადმოგვირიცხა და სტიმულიც ამან მოგვცა. სწორედ ამის შემდეგ ვიშოვეთ დარჩენილი თანხა. მხარში ამოგვიდგნენ „ყაზბეგის“, „ბორჯომის“, „თოლიას“, „პიკოპაკის“ ხელმძღვანელები და განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის, რომ პირველად ქართულმა კომპანია „ივერიამ“ მოახდინა გუნდის ეკიპირება. გაოგნებულებიც ვართ, რადგან რაგბის მაისურები, რაც არ უნდა კარგი ხარისხის იყოს, თითქმის ყველა თამაშზე იხევა. ეს ჩვენი ქართული კი არც გარღვეულა. სხვათა შორის, მთელ ტურნირზე ჩვენი მაისურები იცვლებოდა. სამხრეთაფრიკელებიც მოდიოდნენ და გვთხოვდნენ „ჩეინჯს“.

— საფრანგეთში კარგ პირობებში ცხოვრობდით?

— ჩემპიონატი 5 დღე მიმდინარეობდა, თუმც მაიოს ინიციატივით 10 დღე დავრჩით და კიდევ სამი ტესტ-მატჩიც გავმართეთ. ვცხოვრობდით ნორმალურ სასტუმროში და ვიკვებებოდით მარ[illegible], რაც ჩვენთვის მეტად ეგზოტიკური გახლდათ. [illegible] მასპინძელი გუნდის წარმომადგენლები გვიმართავდნენ ვახშამს.

— ღვინო ხომ არ წაგიღიათ სუვენირების სახით?

— ქართული სუვენირები ყველა ბავშვს ჰქონდა. შარშანდელი გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ ჩვენი ქვეყანა სათანადოდ უნდა წარმოგვედგინა.

— და ქართული ღვინო არ გაუსინჯავთ ფრანგებს?

— ღვინო შეგნებულად არ წავიღეთ. სომხური ვარიანტი გამოვიდოდა — სადაც ჩადიან, ამბობენ მეორე წყალი გვაქვს მსოფლიოშიო. ვინაიდან საფრანგეთი ღვინის ქვეყანაა, გადავწყვიტეთ, სხვაგვარი სუვენირები წაგველო, მაგალითად, ცხვრის ფაფახი.

— ცოტა რაგბიზეც ვისაუბროთ, მაინც როგორ მოახერხეთ ამდენი თამაშის მოგება?

— ფიზიკურად გუნდი საშუალოზე მაღალ დონეზე იყო მომზადებული. თამაშის სწორი ტაქტიკაც ავირჩიეთ, ხელით გახსნილი თამაში ვაჩვენეთ, რასაც ჩვენგან არ მოელოდნენ. გადამწყვეტიც ეს გამოდგა. თუმცა პოზიციური შეცდომებიც იყო. ალბათ ეს ჩვენი მწვრთნელების ბრალიცაა და ადგილზე მოგვიხდა შესწორება.

— რა შეცდომებზე ლაპარაკობთ?

— პოზიციურ განლაგებაზე. რაგბი-12 ჩვენთვის უცხო რამ იყო. უკანა ხაზში გარემარბებს შორის ზონა გვრჩებოდა შეუვსებელი და როცა სამხრეთაფრიკელების თამაში ვნახეთ — როგორ ახერხებდა მოწინააღმდეგე ასეთი ვითარებიდან გამოსვლას — შევცვალეთ ეს სქემა.

— ჩვენი მოთამაშეების სუსტ და ძლიერ მხარეებზე რას იტყოდით?

— ფეხით სუსტად ვითამაშეთ, გარემარბები უბურთოდ უსუსურად მოქმედებდნენ, მეორე-მესამე ფაზის შემდეგ შემტევი ხაზი ბრტყლად იდგა... ძლიერი მხარე კი ის იყო, რომ ფიზიკურად და სულიერად კარგად იყვნენ ბიჭები მომზადებულები. ტრადიციულად მიწაზე ძლიერად თამაშობდნენ სტატიკური სიტუაციებიდან სწორად გამოდიოდნენ და კომბინაციურად მოქმედებდნენ.

---

*ალან მაიო ისე შეეჩვია საქართველოს და ქართველებს, რომ ბურგუნდიიდან მაისური ჩამოჰყვა ზურგ ზე წარწერით — „მაიოშვილი“. შარშან იგი გახლდათ თბილისის საეთაშორისო ტურნირის ორგანიზატორი და წლეულსაც რაგბიან ზაფხულს გვპირდება. შვიდკაცადან შვიდკაცამდე კი იგი იგი თავის ენერგიას და კავშირებს „ჯიქებს“ ახმარს*



# ალან მაიოშვილი ქართველებით ხარობს

— რატომ აკეთებთ ამდენს ქართული რაგბისთვის?

— მე მიყვარს რაგბი, ვარ მორაგბე. თან საქართველოში რაგბი ნაციონალური სპორტია. აქ არის იმის საშუალება, რომ ქართველი მორაგბეები განვითარდნენ და სათანადო დონესაც მიაღწიონ.

— მაინც განსაკუთრებით რა გახარებთ?

— ამდენი წვალების შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, თასი და მეექვსე ადგილი ავილეთ მსოფლიოში, ასევე 17 საუკეთესო ყმაწვილი რომ გავიცანი... საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ მშობლების სიხარულმა უდიდესი ბედნიერება განმაცდევინა.

— საქართველოდან თუ წახვედით, „ჯიქებთან“ კონტაქტი გექნებათ?

— რა თქმა უნდა. სამი წელია აქ ვარ და სანამ წავალ, „ჯიქებთან“ ვიმუშავებ. შემდეგშიც ნამდვილად ვერ შევძლებ მათთან კონტაქტის გაწყვეტას.

— როგორც ვიცი, რაღაც განცხადების გაკეთებას აპირებდით.

— ცოტათი გულდაწყვეტილი ვარ ქალაქის ხელმძღვანელობისგან, რადგან ჩვენ ვთხოვეთ მიზერული თანხები საფრანგეთის ტურნესთვის, მათ კი ჯერ არჩევნები მოიმიზეზეს, შემდეგ კი ის, რომ ვერ დანიშნეს პრემიერი. ასეთი უპასუხისმგებლობა ჩემთვის გაუგებარია. მათ ყოველთვის ავიწყდებოდათ ჩვენი წინადადება, რადგან ეგონათ, რომ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ. მომავალში იმედი მაქვს, ამ შეცდომას გაითვალისწინებენ.

— ახლო მომავალში რა გეგმები გაქვთ?

— ახლა ველოდებით შვიდკაცა რაგბის ტურნირის დაწყებას, რომელიც მეორედ იმართება საქართველოში. გპირდებით, ტურნირი ახლა უფრო წარმომადგენლობითი იქნება.

— დაახლოებით როდის გაიმართება ეს ტურნირი?

— 12-13 ივნისს. წლის კალენდარში უკვე შეტანილია.

**ნინო ლეჟავა**

# ბედნიერი ბასკო ბათუმს ეძებს



*„ჩემპიონები რომც ვერ გავხდეთ, ტრაგედია არ იქნება. ჩემმა ბიჭებმა თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს, უვარჯიშებლებმა, ენთუზიაზმის ხარჯზე „სტუ-ჯეოსელი" გააგდეს ნახევარფინალიდან" — ამბობს „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი. ბათუმელთათვის ტექნიკოსთა დამარცხებას განსაკუთრებული, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, სტუ-მ ხომ თავად ირჩია „ბასკო" სანახევარფინალო მეტოქედ, რისთვისაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებში განზრახ წააგო, რუსთავში სათამაშოდ კი საერთოდ არ წავიდა. კანდელაკი მაქსიმალისტია და ცხადია, „დინამოს" ძლევასთან ეშურება — თუ ბათუმში ვითამაშებთ, ჩემპიონობის თანაბარი შანსები გვექნებაო, ვარაუდობს „ბასკოს" თავკაცი...*

## ნუგზარ კანდელაკი: დინამო იკითხება

— ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ ფინალური სერიის ჩვენს წილ მატჩებს ბათუმში ვუმასპინძლებთ. ამისთვის ბევრი არაა საჭირო, მხოლოდ სასტუმროსა და კვების ფული. მაყურებლების პრობლემას ნამდვილად არ ვუჩივით. „ბასკოს" დარბაზი ხალხს ვერ დაიტევს.

— როდის გაირკვევა, ითამაშებთ თუ არა ბათუმში?

— დღეს-ხვალ. თუ მოვახერხებთ, ჩვენი საკუთარი სახსრებით წავალთ ბათუმში, მერე კი რაღაც გამოჩნდება. ბოლოს და ბოლოს ფინალში ვართ, ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი გვიკლია. ვნახოთ, ეგებ ხვალისთვის მოვახერხოთ ბათუმში წასვლა და ვარჯიშის დაწყება.

— ფინალში გასვლას საკმაოდ დიდი ენერგია შეალიეთ...

— „სტუ-ჯეოსელთან" დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, განსაკუთრებით სერიის ბოლო მატჩში.

— როგორ შეაფასებთ გუშინდელ მატჩს, გამარჯვებას იმსახურებდით?

— ჩვენმა გუნდმა უფრო კომბინაციურად და გააზრებულად ითამაშა, მოგებასაც, ცხადია, იმსახურებდა. თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, რაც არ უნდა მოხდეს, სათამაშო სტილს არ უღალატოთ, კომბინაციები გაათამაშეთ-მეთქი. ჩვენ ისეთი ძლიერი კალათბურთელები არ გვყავს, როგორიც, ვთქვათ, „დინამოს". ამიტომაც მხოლოდ კომბინაციური თამაშითა და გამართული ტაქტიკით თუ გავალთ ფონს. დავით ბერძენიშვილმა გუშინდელ მატჩში ქულები ჩვეულად ვერ აგროვა, მაგრამ რამდენიმე შედეგიანი პასი გააკეთა და ყოველ კომბინაციაში მონაწილეობდა.

— თუმც სამარქაფოებიც გამოგადგათ...

— ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გიორგი ნიკოლაძის გაუვნებლება იყო. დავით ბერიშვილი გადაიღალა, მის ძმას ფეხი სტკიოდა, ბუბა ბერიშვილს კი დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ნიკოლაძეს მეურვედ ანატოლი ბოისა მივუჩინე და ამ სასწაულად შეუპოვარმა ბიჭმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამოცანას. შეიძლება ითქვას, ბოისამ მოიგო ეს თამაში, მან გადამწყვეტი სამქულიანი ჩააგდო, მეტოქის ფარზე კი 5-6 ბურთი მოხსნა. ბუბა კვიმსაძემაც გაგვიმართლა, თუმც ამ ბიჭს გაცილებით მეტი შეუძლია.

— ბევრი მაყურებელი უარყოფითად შეხვდა თქვენს მიერ აღებულ უკანასკნელ წუთშესვენებას, თამაშის დასრულებამდე ხომ საკმაოდ ბევრი, 5 წუთი რჩებოდა. რატომ გააკეთეთ ეს?

— ჩემი აზრით, ეს გადამწყვეტი წუთშესვენება იყო. მეტოქემ სამქულიანი ჩაგვიგდო და სხვაობა 4 თუ 5 ქულამდე შეამცირა. ბიჭებს კონკრეტული დავალება მივეცი, მომდევნო შეტევაში ბურთი აუცილებლად უნდა ჩააგდოთ, თორემ წავაგებთ-მეთქი. კომბინაციაც მივუთითე და, საბედნიეროდ, წარმატებით დაგვირგვინეს ის შეტევა.

— ახლა ფინალზე გკითხავთ. „დინამოზე" რას იტყვით, როგორია შანსები?

— დღესდღეობით უპირატესობა „დინამოს" მხარესაა. თუ არ ვცდები, ბრაიკოვიჩს გუნდი შეკრებაზე ჰყავს. მეტოქე ჩვენზე გაცილებით უკეთაა მომზადებული. „ბასკოს" ორი თვეა, ხეირიანად არ უვარჯიშია, კვირაში ერთი-ორჯერ თუ ვახერხებთ შეკრებას. ამიტომაცაა სტუ-ს დამარცხება გმირობის ტოლფასი, მთელი სეზონი რეჟიმში მყოფები, ალალბედზე გავედით გაკაჟებულ „ჯეოსელთან" სათამაშოდ. მართალია, შემართება და მოტივაცია არ გვაკლია, მაგრამ ჩემპიონობა თუ გინდა, „დინამოსთან" ფიზიკურადაც მზად უნდა იყო.

— სტუ-ს დამარცხების შემდეგ თქვით, ნაღდმა, კომბინაციურმა კალათბურთმა გაიმარჯვაო. „დინამო" თუ თამაშობს კომბინაციურ კალათბურთს?

— ბრაიკოვიჩი ცდილობს, „დინამო" კომბინაციურად ათამაშოს, რაც ბოლომდე არ გამოსდის. მას გუნდში არაერთი კარგი დრიბლინგისა და ზუსტი სროლის მქონე კალათბურთელი ჰყავს და უნდათ თუ არა, მათ თამაშში ხშირად ინდივიდუალიზმი სჭარბობს. მიუხედავად ამისა, „დინამოს" თამაში უფრო იკითხება, ვიდრე იგივე სტუ-სი, რომელიც არეული კალათბურთის მიმდევარია. ტექნიკოსთა კომბინაცია სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა, ვერ გაიგებდი, „დინამო" ბევრად დალაგებულად თამაშობს.

— თქვენი გუნდის უპირატესობა რა იქნება?

— შინ თამაშზე დიდი კოზირი „დინამოსთან" „ბასკოს" ალბათ არ ექნება, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, რომც წავაგოთ, ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი. მათ უკვე გააკეთეს დიდი საქმე, ფაქტობრივად დაშლილი გუნდით ფინალში რომ გავიდნენ.

ჩვენ ჩემპიონობა გვინდა და მის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ!

**ირაკლი პერტაია**

## 2004 NBA Playoffs

6 მაისი

**აღმოსავლეთი**

**ინდიანა 1:0 მაიამი**

**ინდიანა 94:84 მაიამი**

**ინდიანა:** ტინსლი (17), მილერი (12), არტესტი (25), ონილი (13), ფოსტერი (17 ქულა, 10 მოხსნა); ჰარინგტონი (7), ჯონსი (7), ბენდერი (4), ჯონსონი (2), კროშერი

**მაიამი:** ვეიდი (22), ჯონსი (4), კ. ბატლერი (14), ოდომი (12), გრანტი (2); ალსტონი (17), ალენი (5), ჰეისლიმი (5), რ. ბატლერი



# F1

**მეხუთე ეტაპი — ესპანეთის დიდი პრიზი**

**კატალუნია მონტმელო**

*ბარსელონა, 9 მაისი*



**ტრასის სიგრძე** — 4.627 კმ

**რბოლის დისტანცია** — 66 წრე — 305.256 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ალონსო (რენო); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 მონტოია (უილიამსი); 5 რ.შუმახერი (უილიამსი); 6 და მატა (ტოიოტა); 7 ვებერი (იაგუარი); 8 ფირმენი (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 2003 — ბარიკელო (ფერარი) 1:20.143 (212,5კმ/სთ)

**ოთხივე** წლევანდელი ეტაპის მომგები მიხაელ შუმახერი თვლის, რომ ბარსელონაში ხვალინდელი რბოლა ყველაზე რთული იქნება მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში.

1991 წელს აგებულ „კატალუნია მონტმელოს" ყველაზე უკეთ სწორედ მიხაელი იცნობს. იგი დღევანდელ პილოტთაგან ერთადერთია, ვისაც იქ ცამეტჯერვე უვარჯიშია და სარეკორდო, ხუთი გამარჯვებაც მოიპოვა.

შუმახერისთვის ხვალინდელი რბოლა საიუბილეო, მეორასეა და ამ მაჩვენებლით ფორმულა ერთის 55-წლიან ისტორიაში მეექვსე პილოტი გახდება.

საშუალოდ ჩქაროსნული, საკმაოდ რთული „მონტმელო" წლეულს მცირედ შეიცვალა, ერთი-ორი ისეთი ადგილი გაჩნდა, სადაც გასწრების მშვენიერი საშუალებაა და ამასთან, დამცავი ზონებიც უფრო გაფართოვდა. წრე 103 მეტრით დამოკლდა, ასე რომ, ფერარელ რუბენს ბარიკელოს შარშანდელ რეკორდს გუშინდელ ვარჯიშებზე უკვე ბლომად ჩამოაჭრეს.



REUTERS

ჯენსონ ბატონი

პირველ გასვლაზე მიხაელის წითელმა რაშმა განახლებულ ტრეკს რუბინიოს მიღწევაზე 4,5 წამით მალე შემოუქროლა. ბარიკელო მეორე იყო, შემდეგ ჯენსონ ბატონი.

ორსაათიანი შესვენების მერე, მეორე ცდისას, მცირე ხნით გაწვიმდა, რამაც შედეგებზე გავლენა იქონია. საუკეთესო დრო აჩვენა ბატონის „ბარმა", თუმც შუმის რეკორდზე 0,3 წამით უარესი. შემდეგ არიან „ბარის" და „ტოიოტას" სათადარიგო მძღოლები ენტონი დევიდსონი და რიკარდო ზონტა, რალფ შუმახერი (უილიამსი), ფერნანდო ალონსო (რენო), ბარიკელო, მიხაელ შუმახერი, იარნო ტრული (რენო).

მაკლარენელ კიმი რაიკონენს ტრადიციულად მანქანა გაუფუჭდა და მანამდე ნაჩვენები მისი შედეგი მხოლოდ მეცხრე აღმოჩნდა. ხუან-პაბლო მონტოიას „უილიამსი" მე-12 იყო, მის უკან — მეორე მაკელი დევიდ კულჰარდი.



REUTERS

ფერნანდო ალონსო შინ დიდ გულზეა

## საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

### სტუ-შევარდენი 41:18 თბილისი

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, კობახიძე (გაიტანა 8 გოლი), ყიფიანი (7), კალანდაძე (5), ნიკოლაიშვილი (5), ნადირაძე (5), არაბული (5), ჩუბინაშვილი (3), ჯიშკარიანი (2), გუჯეჯიანი (1), სეთურიძე, სიხარულიძე, სიამაშვილი
**თბილისი:** გონჩაროვი, რუხაია (4), სამარლანიშვილი (3), ჟღენტი (3), ფორაქიშვილი (2), სულიკაშვილი (2), აბულაძე (2), სამადაშვილი (1), გიგაური (1), ჩხაიძე, ურუშაძე, სიორიძე, ხურციძე
*მსაჯები:* ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

### საუ-მამული 32:31 ქუთაისი

**საუ-მამული:** დ. ბერიკაშვილი, წივწივაძე (10), კობახიძე (7), ჭელიძე (5), ლაღანიძე (4), ოსიყმაშვილი (3), ცოტაძე (2), ზაქარიაშვილი (1), ხონელიძე, ო. ბერიკაშვილი, ჭაფოძე, ხუციშვილი, შონია, სიხარულიძე
**ქუთაისი:** ხინგავა, ბოყოჩაძე (11), გობეჯიშვილი (10), მამასახლისი (3), შარაშენიძე (2), გაბედავა (2), გოგონაძე (2), კუჭუხიძე (1), ნიქაბაძე, ხარაიძე, აბულაძე, გურაბანიძე, დოლაკიძე
*მსაჯები:* ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

# ის ურჩევნია მამულსა...



„მამულმა" იჭიდავა და მოიგო

არმიის სპორტული კლუბის დარბაზში დასრულდა ვაჟ ხელბურთელთა ძლივს დაწყებული ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე.

ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენმა" დასკვნითი თამაშიც „ცალი ხელით", ამჯერადაც ოცზე მეტბურთიანი სხვაობით მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქედ შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „თბილისი" ჰყავდა.

ტექნიკოსთა მთავარმეგოლემ, 22 წლის მამია კობახიძემ ამჯერად თავისთვის ყველაზე ცოტა, რვა ბურთი მიითვალა. გუშინ მაინცდამაინც ვერც შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირმა ალეკო ბოყოჩაძემ გამოიჩინა თავი — თავის 50-გოლიან მარაგს „სულ რაღაც" 11 წამატა და მართალია, ლიდერობა შეინარჩუნა, მაგრამ მხოლოდ ოთხი ბურთითაა მამიაზე წინ და ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის პრიზისთვის მათ შორის დავა, ეტყობა, ბოლო ტურამდე გაგრძელდება.

ბოყოჩაძის „ქუთაისი" საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულს" დაუპირისპირდა. მოლოდინისამებრ, ბოლომდე დაძაბული და გზადაგზა ზედმეტად ემოციური ბრძოლა. იყო, თუმც „მამულს" საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა. თანაბარი საწყისი ათწუთეულის შემდეგ რევაზ ჭანტურიას ბიჭები წინ გაიჭრნენ და ტაიმი სოლიდური სხვაობით მოიგეს — 19:13.

შესვენების შემდეგ ვითარება მაშინ გამწვავდა, როცა „მამულის" ფეხდაშავებული ლიდერი გიორგი წივწივაძე თითქმის ნახევარი ტაიმი მოედანზე არ იყო. საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე ქუთათურები მეტოქეს წამოეწივნენ — 25:25. მომდევნო ხუთ წუთში ანგარიში კიდევ სამჯერ გაყაიმდა, მერე კი კვლავ „მამული" დაწინაურდა და ბოლომდე აღარც დაუთმია უპირატესობა. „ქუთაისს" ქულის გადარჩენის მშვენიერი შანსი ჰქონდა, მაგრამ 40 წამის განმავლობაში ვერავინ მოახერხა კარისკენ ბურთის ტყორცნა. აქ კი ნამდვილად გამოგვადგნენ აზერბაიჯანიდან მოწვეული მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაის და ვაგიფ ალიევის ნაცვლად ქართველები რომ ყოფილიყვნენ, ერთი-ორი წართმა არ ასცდებოდათ.

ჩემპიონატის დასკვნითი, მეორე წრე 17-21 მაისს შედგება, შემდეგ კი საქართველოს თასის გათამაშებაა დაგეგმილი.

**გია ახალაძე**

| ვითარება I წრის შემდეგ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 4 | 0 | 0 | 179:93 | 8 |
| საუ-მამული | 2 | 0 | 2 | 120:138 | 4 |
| თბილისი | 2 | 0 | 2 | 102:127 | 4 |
| ქუთაისი | 1 | 0 | 3 | 121:145 | 2 |
| მართვე | 1 | 0 | 3 | 123:142 | 2 |



# ჰიუიტს პაველმა ტყავი გააძრო

**მასტერსის სერია**
რომი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი

**მეორე წრე**

**დავიდ ნალბანდიანი** (5, არგენტინა) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:2, 6:4; **კარლოს მოია** (6, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (7, საფრანგეთი) 6:7 (4:7), 6:3, 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (10, ტაილანდი) 6:2, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — სხენგ შალკენი (11, ჰოლანდია) 6:2, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (12, ჩეხეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:1, 6:1; **ანადრეი პაველი** (რუმინეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (15, ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4

**მესამე წრე**

**მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) 3:6, 6:3, 6:2; **ნალბანდიანი** — ვოლანდრი 7:6 (7:4), 3:6, 6:4; **ნიკოლას მასუ** (8, ჩილე) — საფინი 7:5, 6:4; **ნოვაკი** — ფერერი 6:3, 7:5; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ლუის ორნა (პერუ) 6:2, 6:3; **ვინს სპადეა** (აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 4:6, 6:3, 6:4

პირველ დღეებში გავარდნილ სახელიან მეჩოგნეებს იმ დღეს ბითუმად მიჰყვნენ მეოთხე ნომრად განთესილი ტიმ ჰენმანი, ლეიტონ ჰიუიტი (15) და მარატ საფინი.

დახვეწილ ბრიტანელს, ვინაც მისთვის არცთუ სახარბიელო თიხნართან შეგუებას ბოლო დროს ჰალალად ცდილობს და წლევანდელ მონტეკარლობაზე მეოთხედფინალსაც უწია, ჩოგანი ჯიშად მეთიხნარე მარიანო საბალეტამ მოუგრიხა. ეს მათი მესამე თიხნარშეხლა იყო და საბალეტა უკვე 3:0 იგებს.

მარატ საფინს თითქოს არ უნდა წაეგო ირაკლი ლაბაძის მძლეველ ნიკოლას მასუსთან, მაგრამ რუსმა ერთ დღეში ორ მატჩს ველარ გაუძლო. მასუმდე რამდენიმე საათით ადრე მან ჰიტალო ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანი დაიმორჩილა და მეტი ილაჯი მერე ველარ მოიძია. ორ-ორი მატჩის გამართვა კი საფინსა და ბევრ სხვა მეჩოგნესაც წინა დღის წვიმიანობისა და მატჩების გადატანის გამო მოუხდათ.

რაც შეეხება ლეიტონ ჰიუიტს, ის თუმც არც მისდარად სახელიანმა, მაგრამ თიხნართან მაინც უფრო გაჩვეულმა რუმინელმა ანდრეი პაველმა გაისტუმრა. შარშანდელთან შედარებით ლეიტონი წლეულს გაცილებით ბევრს თამაშობს, მაგრამ ვერ იქნა და სათანადო დონეზე ვერ აჩოგნავდა. მავანნი ვარაუდობენ — ველარც აჩოგნავდებაო და, ვინ იცის, ეგებ ვაგლახ მართლებიც იყვნენ.

სხვაფრივ — უკანასკნელ რვეულში დაბინავდა შარშანწინდელი როლანგაროსობის ჩემპიონი ალბერტ კოსტა, რომელიც ერთადერთია ტურნირს შემორჩენილ მეჩოგნეთაგან, იქაურ ფინალში (1998 წელს) რომ გარჯილა.

**LADIES GERMAN OPEN**
ბერლინი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**მესამე წრე**

**კაროლინა სპრემი** (ხორვატია) — კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) კლაისტერსმა ვერ ითამაშა; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (16, ისრაელი) 6:3, 6:1; **ანასტასია მისკინა** (44, რუსეთი) — პატი შნიდერი (13, შვეიცარია) შნიდერმა ვერ ითამაშა; **პაოლა სუარესი** (11, არგენტინა) — ნადია პეტროვა (5, რუსეთი) 6:1, 7:6 (8:6); **ჯენიფერ კაპრიატი** (6, აშშ) — მარია შარაპოვა (17, რუსეთი) 5:7, 6:4, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (10, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:2, 6:7 (5:7), 6:4; **ფაბიოლა სულუაგა** (კოლუმბია) — აი სუგიამა (8, იაპონია) 7:6 (7:4), 3:6, 6:4

კიმ კლაისტერსის სალმობიერი მარცხენა მაჯა ჩვენ ბოლოდროინდელ მიმოხილვათა ხშირი საგანი იყო. ის, რომ ამ მაჯით უახლოეს ტურნირებზე ვერაფერს გახდებოდა, თავად კიმმაც კარგად უწყოდა, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, ეგებ ისეც გავატანოო. ვერ გაატანა. ორი კვირის წინ ხორვატებთან ფედთასობამა და ამ კვირაში ბერლინში ჩოგნაობამ მოუშუშებელი მაჯა კიდევ უფრო გაამიზეზა და ახლა ისიც კი საკითხავია, შეძლებს თუ არა 20 წლის ბელგოგო წლევანდელ როლანგაროსობაზე გამოსვლას.

სხვაფრივ — შთამბეჭდავად გაირჯნენ კიმის მომდევნოდ განთესილი ბობოლები — ამელი მორესმო და ვინუს უილიამსი. ფრანგმა დედათმამავალმა ჩეხი ხლადკოვა მოინელა, ვინუსმა კი ებრაელი სმაშნოვა პისტოლეზისა ჩაყლაპა. მარია შარაპოვასთან სამსეტიანი ბუქნაობა გადახდა მეექვსე ნომრად განთესილ ჯენიფერ კაპრიატის, ხოლო დიდი ხნის განმავლობაში უთამაშებელ ანასტასია მისკინას პატი შნიდერის ტრავმიანობის გამო ჩოგნის გაქნევა იმ დღესაც არ დასცალდა. თუმცა, ეგებ ამით კმაყოფილიც დარჩენილიყო.

**ლევან ძელაურაძე**



## პლეი ოფი

### აღმოსავლეთის ფინალი

### ტამპა (1) — ფილადელფია (3)

| | |
|---|---|
| ლიდერები: ფრედერიკ მოდინი (5 გ. + 6 პ.), მარტენ სან ლუი (4+7), ბრედ რიჩარდსი (4+5), ვენსან ლეკავალიე (5+2), დან ბოილი (1+3) | ლიდერები: ალექსეი ჟამნოვი (4+8), ჯერემი რენიკი (4+6), კეიტ პრიმო (5+3), კიმ იუნსონი (1+6), ტონი ამონტე (3+3), სიმონ განიე (3+3), სამი კაპანენი (1+5) |

ძალა გაიმარჯვებს თუ სისწრაფე, სიმაღლე თუ ოსტატობა? აი, სწორედ ასე დგას საკითხი ამ სერიაში, რადგან ორივე გუნდის კოზირები აშკარადაა გამოკვეთილი და ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ლიგაში ყველაზე ჯანიანი და მძლავრი ჰოკეისტებით დაკომპლექტებული „ფილადელფია" ცდილობს, მეტოქის ზონაში ჩააგდოს შაიბა და იქ ბორტებთან ძალის გამოყენებით მიაღწიოს უპირატესობას. თავის მხრივ „ტამპა" სწრაფ და აგრესიულ პრესინგს მიმართავს და თავისი რეაქტიული ფორვარდების უნარიანობაზე აკეთებს აქცენტს. საჭირო ტაქტიკამ წინა სერიებში ორივე მეტოქეს მოუტანა შედეგი, მაგრამ არც „ფილადელფიას" ჰყავდა აქამდე „ტამპას" დარი მეტოქე და არც პირიქით. ასე რომ, წინასწარ რაიმეს განსაზღვრა ძალიან ძნელია, „მფრინავთა" სასარგებლოდ კიდევ ის მეტყველებს, რომ ერთბაშად 15 მოთამაშეს უკვე გაუტანია პლეი ოფში გოლები. სამაგიეროდ, ტამპამ „სეზონში" ოთხივე მატჩი მოუგო მეტოქეს, ხოლო მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი სწორედ პლეი ოფში შევიდა საუკეთესო ფორმაში.

ამ სერიას განსაკუთრებულ ელფერს მატებს ფილადელფიელთა კაპიტან კეიტ პრიმოს და მისი ხაზისა და „ტამპას" ლიდერების — ვენსან ლეკავალიესა და მარტენ სან ლუის სამეულის შერკინება.

### დასავლეთის ფინალი

### სან ხოსე (2) — კალგარი (6)

| | |
|---|---|
| ლიდერები: ვენსან დამფუსი (5+6), პატრიკ გარლო (7+3), ნიკოს დიმიტრაკოსი (1+8), ჯონატან ჩიჩუ (3+5), ბრედ სტიუარტი (1+4) | ლიდერები: ჯერომ იგინლა (6+6), მარტინ ჟელინა (5+4), კრეიგ კონროი (2+7), მეტიუ ლომბარდი (1+5), კრის კლარკი (2+3), მარკუს ნილსონი (1+4) |

ახლა მთელი კანადა „კალგარის" იმედზეა. 1993 წლის შემდეგ ამ ქვეყნის არც ერთ გუნდს არ მოუგია თასი და ახლა რთული მისიის შესრულება ტვირთად დააწვა გუნდს, რომელიც არც შემადგენლობით ბრწყინავს და არც ფინანსურადა მთლად წელში გამართული.

აქამდე „ალები" დიდი თავგამოდებითა და შესაშური შრომით მოვიდნენ. სწორედ მოუღლელი ჯაფითა და ფიზიკური ძალით აჯობეს კანადელებმა „ვანკუვერსა" და „დეტროიტს", მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, კონფერენციის ფინალში სწორედ ასეთივე გუნდი შეხვდათ. „სან ხოსე" არანაკლებ დამშეული, აგრესიული და მშრომელია, ხოლო ლიდერების ოსტატობით სჯობს კიდეც მეტოქეს. თუ „კალგარს" ჯერომ იგინლა, მეკარე მიიკა კიპრუსოფი და ნაწილობრივ მარტინ ჟელინა წინამძღოლობენ, „ზვიგენებიდან" ორი-სამი ტრიო წარმოადგენს საფრთხეს... მეკარე ევგენი ნაბოკოვიც არ ჩამოუვარდება თავის კალგარელ კოლეგას, თუმც წლევანდელმა პლეი ოფმა არაერთხელ დაგვიმტკიცა, რომ სერიის დაწყებამდე გამოთქმული ვარაუდი ვარაუდად რჩება, რეალობა კი სულ სხვა რამაა.

## მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

6 მაისი

**მეოთხედფინალები**
კანადა 5:4 ფინეთი
სლოვაკეთი 3:1 შვეიცარია

**ნახევარფინალები**
კანადა — სლოვაკეთი
შვედეთი — აშშ

# მხედნავი



REUTERS ბარსელონიდან

ახლოთა ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება ბარსელონას ახლო, მონტმელოზე. მიხაელ შუმახერმა ყოველი მანქანა და კაცი გახედნა და ახლა ხარს მიდგომია. თუმცა ხარი ხელოვნურია და ვილანოვე დელ ვალესის ფერმაში დგას. აქვე მოგახსენებთ, რომ კატალონიაში კორიდა აიკრძალა.

# ჩილავერტის კვალი

ასუნსიონის დიდების ფილაქანზე, „ექსელსიორის“ სავაჭრო ცენტრში რომაა, განთქმული პარაგვაელები ტოვებენ ხელის ანაბეჭდებს. ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს, ხოსე ლუის ჩილავერტს ცხადია ეს დიდება ეკუთვნის.



REUTERS ასუნსიონიდან

# სერ როჯერის ოქროს თარიღი



REUTERS ოქსფორდიდან

ნახევარი საუკუნე გასულა იმ დროიდან, როცა 25 წლის სტუდენტმა მედიკოსმა როჯერ ბანისტერმა ერთი მილი ოთხ წუთზე ნაკლებში გაირბინა და ამით მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ჰოდა, სერ როჯერი სწორედ იმ ფეხსაცმელებს გვიჩვენებს, რომლითაც მაშინ გარბოდა.

# სმართი ჯო

ამ ცხენმა, ახლა რომ მეჯინიბე მარიო არავასის ქუდს ლოკავს, ორიოდ დღის წინათ კენტუკის დერბი, ამერიკის უდიდესი დოღი მოიგო. „სმართი ჯოს“ ისტორია კონკიას ამბავია: უბრალო ცხენი, უცნობი ჟოკეი და ჩვეულებრივი მწვრთნელი შეიკრიბნენ და სასწაული მოახდინეს. ამ ნამდვილი ისტორიით „ჰოლივუდიც“ კი დაინტერესდება.



REUTERS ბენსალემიდან



REUTERS ჩიკაგოდან

# მარტო ხალხში

მორიგი ბეისბოლი ჩიკაგოში. იქაურ „ქაბზსა“ და „არიზონა დაიმონდ ბექზს“ შორის, „სივის“ სტადიონზე. თამაშს კი მსახიობი მაკოლეი კალკინი ხსნის. ხომ გახსოვთ, „მარტო სახლში“ დარჩენილი ბიჭუნა მძარცველებს თმებზე ცეცხლს რომ უკიდებდა? გაიზარდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge